

ქართული



5(24) 2009

სამეცნიერო-მეთოდური

ქართული მარცხი რება?
ქართული ქართული რება?
ღმერთი, ზღვისწყარო,
ზღვა რთა, იმღერება!

გერმანიის ქართული სათვისტომოს ორგანო

ნომჯიშინა:

საზიხვედვეხელა დეჟი	3
მონხენეხი „Oktobertfest“-ი და ქაიხუდი მხავადეამიხი	4-5
სიხბდე მონხენის საყვიხამ სუოდში	5-6
მცხიე მავი სეხედები ანე გონ თბიღისი, ზინა, ნიუ-იოხიუ, ვენევა, მონხენი...	6
ქაიხუდი მხედხთმთავიხები თამაი მუფე და დავით სიხბანი	7-10
სევეტიცხოვდობა	11-12
ქაიხუდი გეხმანია	13-14
დუღის ჟუდუხა საქაიხუდოში	14-15
„მთუდი ქვეყანა ჩვენ ვიქნებით!“ ნოდხი დუმბაძის გახხენება	16-17
Deutschland ist meine Heimat, aber Georgien = mein Schicksal!	18-21
განე, სიშიე და ეხობე სათავგადახადო მითხიხობა	22-29
ზოგონა	29-30

ს ა ზ ო რ ვ ა ე ც მ ვ ე რ მ ც ე ე ს ი

საიდანაც ამოძიოყვე

ზოგჯერ მივლი სიყვარულის ჭნედა
ველამ ვამჩნევ სიყალბეს და ძაბთაღს.
საიდანაც ამოძელოთქუ ჭეღო.
წაძილე და იმ ძინახე დაძვალ.

მოგუჭედალ ყვირილს ყელში ვუმ ველაჲ.
ჯვარდინზე ყმეგზალოდ ვზივამ.
ვემ ვჩვევი სულ სხვა ხალხის ვნე-ყვალს.
ველამ მიჯიბაჲს ძენზე თვალი მზიბად.

ველამ ვეყოტ. სხვის ენას და სხვა ძთქს.
ფოთლეტს ქაღი წვიძაძი რომ ყოვეს.
ყველას თაჲის ქვეყანაძი ძაბთქს
სიყვდილის და დაძაღეძას თყმქ.

ველამ ვამჩვე. სიყალბეს და ძაბთაღს.
ვემ დაკხსნივამ. ჭედის ძნეღლის თვალთვალს.
საიდანაც ამოძელოთქუ ჭეღო.
წაძილე და იმ ძინახე დაძვალ.

მელეა ყახიძე

სათვისცემო

მიუნხენური „Oktoberfest“-ი და ქართული მრავალჟამიერი

მიუნხენის ცნობილ სახალხო დღესასწაულს – Oktoberfest-ს თითქმის 200 წლოვანი ტრადიცია აქვს. მისი ისტორია სათავეს 1810 წლის 17 ოქტომბრიდან იღებს. ამ დღეს მაშინდელი მიუნხენის გალაუნის გარეთ, დიდ მინდორზე პრინც ლუდვიგ პირველისა და ბავარიის პრინცესა ტერეზას ქორწინებისადმი მიძღვნილი დიდი გამართულა. მას შემდეგ ამ ადგილს Theresienwiese (ტერეზას ველი) ეწოდება.

1887 წლიდან დამკვიდრდა ოქტომბრის დღესასწაულის

მონაკვეთზე მაქსიმილიანუმიდან Theresienwiese-მდე მსვლელობას მართავს, სადაც სხვადასხვა სახეობის ლუდის დიდი კარები და ატრაქციონები ელიან ლუდის მოყვარულ გერმანელებს და ჩამოსულ სტუმრებს.

საზეიმო მსვლელობაზე ანუ Trachtenumzug-ზე ძირითადად ბავარიელები გამოდიან, მაგრამ ასევე არიან ჯგუფები გერმანიის სხვადასხვა მიწებიდან, ავსტრიიდან, შვეიცარიიდან, ჩრდილოეთ იტალიიდან და სხვა ევროპული ქვეყნებიდან.

ოქტომბრის დღესასწაულის გახსნის საზეიმო მსვლელობაში მონაწილეობის უფლება იყო.

ქართულ ტრადიციულ ტანსაცმელში ჩაცმული ქართველები ქუჩაში გამოსული მაყურებლების აღტაცებულ შეძახილებში ამაყად მიემართებოდნენ Theresienwiese-საკენ. ჯგუფს წინ დაისის ფორმაში გამოწყობილი მოცეკვავეები მიუძღოდნენ, რომლებიც დროდადრო ქართული ცეკვის მოძრაობებს ასრულებდნენ. წარმოდგენილი



გახსნის დღეს ლუდის მეწარმეთა და დღესასწაულზე მოსული ხალხის გართობისა (მუსიკოსთა, მსახიობთა და ა. შ) და საზეიმო მსვლელობის ტრადიცია. 1950 წლიდან ამ მსვლელობას შეუერთდნენ ტრადიციული ბავარიული ტანსაცმლის – Tracht-ის მატარებელთა საზოგადოებაკავშირები.

დღეისათვის ოქტომბრის დღესასწაულის პირველ კვირა დღეს 8000 მონაწილე გამოდის და 7 კილომეტრის სიგრძის გზის

წლევანდელ, რიგით 176-ე Oktoberfest-ის გახსნის ტრადიციულ მსვლელობაში დღესასწაულის ისტორიაში პირველად მონაწილეობა ქართულმა ჯგუფმაც მიიღო. მიუნხენის ასევე ტრადიციული Tolwood-ის ფესტივალზე გერმანიის ახალგაზრდული ორგანიზაციის DJO-ოს ეგიდით ჩატარებული ცეკვის კონკურსზე გერმანიის ქართულ სათვისტომოსთან არსებულმა ცეკვის ჯგუფმა „იბერისმ“ გამარჯვება მოიპოვა, პრიზი კი

იყო აჭარული და მთიულური ტრადიციული ტანსაცმელიც. მსვლელობას არც მთიულური ცეკვის ცეცხლოვანი ილეთები აკლდა, რაც მაყურებელთა აღფრთოვანებულ შეძახილებს იწვევდა და აპლოდისმენტებსაც უხვად იღებდა. გზადაგზა ბევრი გერმანელი ქართულად გვესალმებოდა და გვიხდიდა მადლობას.

მსველობის დამთავრების შემდეგ Theresienwiese-ზე მისულებსაც არ მოჰკლებიათ

ფოტოგრაფთა და გამვლელ-გამომვლელთა ყურადღება. კარვებში ამ დროს ათასობით ადამიანი ერთად შეიძობს, უკრავენ მუსიკოსები და ლუდის კათხების მიჭახუნებაში გაისმის მხიარული შეძახილები. ბავარიულ ზეიმზე ამ დღეს ქართული სიმღერაც

გაისმა, მაგიდებს შორის დარჩენილ ვიწრო გასასვლელებში ქართულმა მოცეკვავეებმა დაისის შესრულებაც შეძლეს.

ეს დღე დაუვიწყარი იქნება ჩემთვის და ჩემი “იბერისელი” მეგობრებისთვის. ლუდის მოტრფიალე არ გახლავართ,

მაგრამ წლევეანდელი ოქტომბრის დღესასწაულზე დაღუული 6,5 მილიონი კათხა ლუდიდან, ორი ჩემს ანგარიშზეც არის.

მამ Prost ბავარიელებო!

ალავერდს თქვენთან ვართ!


ნანა გობეჩია

სიახლე მიუნხენის საკვირაო სკოლაში

ქართული საკვირაო სკოლა მიუნხენში უკვე წლებია არსებობს და ქართული ენის სიყვარულს, „მიუნხენელ“ ქართველ ბავშვებსა და მშობლებს შორის ურთიერთმეგობრობას და ქართული კულტურის გაცნობას უწყობს ხელს. ქართულ სინამდვილეს მოწყვეტილ ქართველ თუ ნახევრად ქართველ ბავშვებს შესაძლებლობა აქვთ ისწავლონ ქართული წერა-კითხვა, გაეცნონ ქართულ ლიტერატურას, ისაუბრონ ერთმანეთთან მშობ-

დეტალებსა თუ ქრისტიანული რელიგიის არსსა და მრწამსს. ბავშვები დიდი ინტერესით ისმენენ და იმეორებენ რელიგიური სიმბოლოების მნიშვნელობებს და ცნობისმოყვარედ სვამენ კითხვებს. მამულის სიყვარულს ენა და სარწმუნოება რომ უყრის საფუძველს, სხვადასხვაგვარად ბევრჯერ უთქვამთ ჩვენს წინაპრებს. თუმცა, მათ, ალბათ, იმაზე არ უწევდათ ფიქრი, რამდენად ძნელია მათი შენარჩუნება უცხო ქვეყანაში, მითუმეტეს

მნიშვნელოვანი ადგილი უნდა ეკავოს რელიგიურ აღზრდას. ქრისტიანულ ღირებულებებს, საღმრთო მცნებებს, იმას, თუ რა არის კეთილი და რა არის ბოროტი, რა არის კარგი და რა არის ცუდი ღმერთის წინაშე ხშირად ბავშვები მათი უმანკო ბუნებიდან გამოდინარე უფრო ადვილად იგებენ და ითვისებენ ვიდრე დიდები. ამიტომაც პატარა ასაკიდანვე გონივრულად, მათ ენაზე უნდა მივაწოდოთ ბავშვებს სულიერი საზრდო. მათ პატარა



ლების მშობლიურ ენაზე და ისევე შეიყვარონ ის, როგორც მათ უყვართ. სკოლას ბოლო თვეების განმავლობაში კიდევ ერთი და ძალიან მნიშვნელოვანი სიახლე შეემატა. მიუნხენის ვახტანგ გორგასლის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი მამა თამაზი (ლომიძე) პატარებს ყოველი თვის პირველ კვირას რელიგიის გაკვეთილებს უტარებს, სადაც ისინი გულმოდგინედ ეცნობიან ეკლესიური ცხოვრების წესებს, წმინდანების ცხოვრების


მამინ, როცა უცხო ცის ქვეშ დაბადებულ პატარებს, შეიძლება ითქვას, ორი სამშობლო აქვთ და უმეტესად მონაყოლით უწევთ საქართველოს გაცნობა. სწორედ ამის გამო რელიგიის გაკვეთილებს საკვირაო სკოლაში ისეთივე დიდი დატვირთვა აქვს, როგორც მიზანი. დეკანოზი თამაზი: „საკვირაო სკოლაში რელიგიის გაკვეთილებს ორი მნიშვნელობა აქვს. საერთოდ ბავშვების ცხოვრებაში პატარა ასაკიდანვე, რა თქმა უნდა შესაბამისი რაოდენობით,

და ნორჩ გონებას ძალიან ფრთხილად უნდა მივაწოდოთ სულიერი იმპულსები, რომლებიც მათში სულიერ და ამავე დროს მოაზროვნე პიროვნებას ჩამოაყალიბებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როცა ეს ისწავლება საკვირაო სკოლაში, ღვთისმსახურების შემდეგ, რომელსაც ბავშვების დიდი რაოდენობა ესწრება. ქართველი ბავშვებისათვის, რომლებიც უცხოეთში იზრდებიან ორმაგად საჭიროა ქართული ეროვნული

რელიგიის სწავლა. ქართველი ყოველთვის ნიშნავდა მართლმადიდებელს. თუ გვსურს, რომ უცხოეთში მცხოვრები ქართველების შვილებმა არ დაკარგონ მათი ეროვნება, ეს თავისთავად ნიშნავს, რომ ეს ბავშვები უნდა აღიზარდონ მართლმადიდებლებად.“ ამისათვის კი მამა თამაზი არც ღროს იშურებს და არც ენერგიას და მათთვის გასაგებ საბავშვო ენაზე საღმრთო წერილს აცნობს პატარებს, რათა მათ კარგის და ცუდის საზომად მომავალში ქრისტიანული რელიგიის მრწამსი გამოიყენონ. „მნიშვნელოვანია მათთან საუბარი ღმერთზე, ადამიანზე, სიცოცხლეზე,

სიყვარულზე, მეგობრობაზე, მშობლებზე და ა.შ. საჭიროა, რომ გაკვეთილებზე მათ მიეცეთ საშუალება თვითონ ილაპარაკონ იმაზე, თუ რას ფიქრობენ ღმერთზე. რა არის მათთვის ღმერთი? უყვართ და ახსოვთ თუ არა მათ ღმერთი? მთავარი არის არა ის, რომ პატარებს რელიგიური რიტუალები შევასწავლოთ, არამედ ის, რომ მათ დაიწყონ ფიქრი ღმერთზე. რომ მათ მომავალ დიდ ცხოვრებაში მთავარი საზომი იყოს ღმერთი. ღმერთი, როგორც სიცოცხლის, სიკეთის, სიყვარულის და ყოველგვარი სათნოების წყარო.”

თინათინ ჩითინაშვილი



მცირე შავი ხვრელთა ახე გზა თბილისი, ჰიზა, ნიუ-იორკი, ვენეცია, მიუნხენი...

ალექსანდრე ფონ ჰუმბოლტის პრემია პროფესორებისათვის ყველაზე აღიარებული წოდებაა გერმანიის სამეცნიერო კვლევით სფეროში. ამ პრემიით გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის განათლების სამინისტრო შეარჩევს მსოფლიოში აქტუალურ და წარმატებულ მეცნიერებს, რათა ისინი მიიწვიოს გერმანულ სამეცნიერო უნივერსიტეტებში და ინსტიტუტებში სამუშაოდ. რჩეულ პროფესორებს ეძლევათ შესაძლებლობა ჩამოაყალიბონ კვლევითი ჯგუფი გერმანიაში.

2008 წელს პირველად გაიცა ეს პრემია და რჩეულთა შორის ქართველი პროფესორი გაიკავიაც გახლავთ. იგი სათავეში ჩაუდგება თეორიული ფიზიკის კათედრას LMU-ში და ამავდროულად დაიკავებს მაქს-პლანკის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის (Heisenberg Institut) დირექტორის პოზიციას.

ორივე ინსტიტუტში მოუთმენლად მოელიან მის ჩამოსვლას რადგან ამჟამად გაიკავია მსოფლიოში წამყვან თეორიულ ფიზიკოსად გვევლინება და მას ხშირად ყველაზე შემოქმედებით მოაზროვნედ მოიხსენიებენ. ის არა მარტო თავის დარგში არის

წამყვანი ინოვაციური იდეების ავტორი, აგრეთვე გვევლინება მონათესავე დარგების სტიმულატორად. იგი ითვლება ერთ-ერთ დამფუძნებლად იდეისა დამატებითი განზომილებების შესახებ. მისი თეორიები მოდიფიკაციას უკეთებენ ისეთ ფუნდამენტურ ურთიერთქმედებას როგორცაა გრავიტაცია. მის მიერ შემუშავებული იდეები მოიცავს ასტროფიზიკისა და ექსპერიმენტალური ნაწილაკების ფიზიკის მრავალ სფეროს.

სანამ მიუნხენში გადმოვიდოდა გაიკავია მრავალ პრესტიჟულ კვლევით ცენტრში მუშაობდა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან იგი პირველად იტალიაში აბდულ სალამის სახელობის თეორიული ფიზიკის ცენტრში გადადის, შემდეგ ნიუ-იორკის უნივერსიტეტში იწყებს თავის ხანგრძლივ და წარმატებულ მოღვაწეობას 11 წლის განმავლობაში. 2007 წლიდან დღემდე არის ევროპული ბირთვული ფიზიკის ცენტრის (CERN) მეცნიერ - თანამშრომელი.

და დღეს მას მოუთმენლად ელიან მიუნხენში.

სოფიო პატარაია

რ ს მ რ რ რ რ

ქართული მხედრობის ისტორია

თამარ მეფე

და

დავით სოსლანი

1166 წელს მეფე გიორგი მესამეს და მის მეუღლეს ბურდუხანს ქალიშვილი თამარი შეეძინათ. გიორგი მეფემ თავისსავე სიცოცხლეში იგი მეფედ გამოაცხადა. დიდებულებმა ფიცი დადეს და მუხლი მოიყარეს 12 წლის მონარქის წინაშე, რომლისთვისაც განგებას ებოძებინა მძიმე ჯვარი ერის წინამძღოლობისა.

მამა-შვილი ხუთი წლის მანძილზე განაგებდა სამეფოს. 1184 წელს მეფე გიორგი გარდაიცვალა და საქართველოს ერთადერთ პატრონად 18 წლის თამარი იქცა. ქვეყანამაც ერთგულად და სიყვარულით მიიღო „მზე მზეთა, ნათელი ნათელთა“. სახელმწიფო კარის გარიგების დაცვით ღირსმა და მადლმოსილმა მეუფემ, ქუთათელმა მთავარეპისკოპოსმა ანტონ საღირის ძემ და რაჭის და თაკვერის ერისთავმა კახაბერ კახაბერის ძემ სამეფო გვირგვინი დაადგეს, ვარდანისძეებმა, საღირისძეებმა და ამანელისძეებმა კი ხმალი შემოარტყეს წელზე.

დიდგვაროვანი აზნაურები და მათი ცალკე ჯგუფები არაერთხელ გამოსულან თამარის წინააღმდეგ. საქართველოს მეფის ხელისუფლება სახელმწიფო დარბაზის „თანადგომითა და ერთნებობით“ თვალსაჩინოდ იქნა შეზღუდული. საქართველოს სახელმწიფო წესწყობილებაში მომხდარი ეს დიდად მნიშვნელოვანი ცვლილება იმ ცვლილების წინამორბედსა და ანალოგიურ მოვლენას წარმოადგენს, რომელიც მეცამეტე საუკუნის დამდეგს ინგლისში მოხდა, სადაც „თავისუფლებათა დიდი ქარტიის“ („მაგნა ხარტა ლიბერარტუმ“) შექმნით ინგლისის მეფის ხელისუფლება შეიზღუდა. დიდგვაროვნები თამარის პირად ცხოვრებაშიც ერუოდნენ. ასე, როცა თამარის ქმრის საკითხი დადგა, ისინი საქმროდ უფრო ისეთ კაცს ეძებდნენ, რომელიც მათთვის იქნებოდა მისაღები. პირველი ქმარი თამარს მისი სურვილის წინააღმდეგ მოუყვანეს. 1185-86 წელს, სახელმწიფო დარბაზის გადაწყვეტილებით,

ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოიყვანეს და თამარს შერთეს სუზდალის რუსეთის მთავრის ანდრია ბოგოლუბსკის შვილი გიორგი, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ გიორგის პიროვნების უარყოფითი თვისებები მოიმიზეხეს და იგი საქართველოდან გააძევეს. გიორგი ბიზანტიაში წავიდა.

1189 წელს თამარმა მეორედ იქორწინა. თამარის მეორე ქმარი იყო დავით სოსლანი. დავითი ოსეთის მეფისწული და ბაგრატიონთა შთამომავალი იყო და თამარის მამიდასთან, რუსუდანთან იზრდებოდა. მას მემატიანე ახასიათებს როგორც „ზნეობრივი და რაინდული თვისებებით შემკულ, სასიამოვნო გარეგნობის კაცს. დავით სოსლანი სარდლობდა ქართველთა ლაშქარს თითქმის ყველა დიდ ბრძოლაში (ლაშქრობა 90-იანი წლების დასაწყისში ბარდავის მხარეში, არზრუმში – კარნუ-ქალაქში, გელაქუნში, ბელაქანში, განძის მიდამოებში, შამქორის ბრძოლაში 1195 წელს, ბასიანის ბრძოლაში 1203 წელს). როგორც თანამეფე, სოსლანი სახელმწიფო გამგებლობაშიც მონაწილეობდა.

მის წარმომავლობაზე არ არსებობს ერთიანი აზრი. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში განმტკიცებულია მოსაზრება, რომ დავით სოსლანი იყო ოსეთში დამკვიდრებულ ბაგრატიონთა შტოს წარმომადგენელი. მკვლევართა აზრით, ეს შტო მომდინარეობს გიორგი პირველისა და ალანთა ტომის ასულის ალდე დედოფლის ვაჟის დემეტრესგან. ვახუშტის ცნობით, დემეტრეს დარჩა ძე, რომელიც თავის ბებია ალდესთან ერთად ოსეთში გაიქცა, იქ იქორწინა მეფის ასულზე და თვითონაც ოსთა მეფედ იწოდა. დავით სოსლანი მისი შთამომავალი იყო. დავით სოსლანს ბაგრატიონად მიიჩნევს „გიორგი ლაშას დროინდელი მემატიანეც“. ზოგი მკვლევარის მოსაზრებით, დავით სოსლანი ცარაზონთა ოსურ საგვარეულოს ეკუთვნოდა, მაგრამ ამის დამადასტურებელი ცნობები საისტორიო წყაროებში

არ ჩანს და ეს თვალსაზრისი ზეპირ ვარაუდად რჩება. დავითისგან თამარს ორი შვილი ეყოლა: უფროსი გიორგი ლაშა და უმცროსი რუსუდანი.

თამარის ყოფილი მეუღლე გიორგი რუსი ასე ადვილად არ შერიგებია მის საქართველოდან გაძევებას და ეძებდა ხელსაყრელ პირობებს საქართველოში დასაბრუნებლად. მან ორჯერ მოაწყო აჯანყება თამარის წინააღმდეგ. პირველად გიორგი ერზრუმის გზით შემოვიდა საქართველოში. მაშინ მას ისეთი დიდი ფეოდალები მიემხრნენ, როგორც იყენენ გუზანი, კლარჯეთისა და შავშეთის მმართველი, სამცხის სპასალარი ბოცო და მსახურთუხუცესი ვარდან დადიანი.

ამ დიდგვაროვან აზნაურებს იმედი ჰქონდათ, რომ გიორგის თავის სათამაშო ბურთად გადააქცევდნენ.

მართალია, გიორგის მომხრეებმა თავდაპირველად საქართველოს დიდი ნაწილის დაჭერა მოახერხეს და გიორგი მეფედაც გამოაცხადეს დასავლეთ საქართველოში, მაგრამ შემდეგ მათ საქმე ცუდად წაუვიდათ. თამარის ერთგულმა ჯარებმა აჯანყებულთა მთავარი ძალა გაანადგურეს ჯავახეთში, თმოგვსა და ერუშეთს შუა. როდესაც ქართლში მყოფმა მეამბოხეებმა ჯავახეთის ჯგუფის დამარცხების ამბავი გაიგეს, უბრძოლველად გაიქცნენ. გიორგის მომხრე დიდგვაროვანმა აზნაურებმა თამარს წინასწარ პატიება სთხოვეს, გადმოვიდნენ და გიორგიც მოიყვანეს. თამარმა გიორგი კვლავ გააძევა, აჯანყებაში გარეულ მის მომხრეებს კი თანამდებობა ჩამოართვა და მათ მაგიერ თავისი ერთგული ფეოდალები დანიშნა.

1193 წელს გიორგიმ ხელმეორედ სცადა თავისი ბედი წაღმა მოეტრიალებინა: რანში მოვიდა ათაბაგთან და იქიდან კამბეჯოვანში, ესეიგი ქიზიყში, შემოიჭრა. მაგრამ უმაღლეს დამარცხებულ იქნა და უკვალოდ გადაიხვეწა.

ოთხმოცდაათიანი წლების დამდეგისათვის შინაური მდგომარეობა საქართველოში უკვე დაწყნარებული იყო. ახლა იწყებოდა ისეთი დიდი საგარეო ომები, რომ მათი მსგავსი საქართველოს ცოტა ახსოვდა.


მეზობელი მაკმადიანი მმართველები დროგამოშვებით ცდილობდნენ, რომ საქართველოსგან შემოერთებული ადგილები

ისევ უკან დაებრუნებინათ. ირანის ადარბადაგანის ათაბაგი აბუბექრი შარვანს შეესია. ამ დროს შარვანში საშინელი მიწისძვრაც მოხდა, აღსართან შარვან-შაჰმა აბუბექრს წინააღმდეგობა ვერ გაუწია და თამარს დახმარება სთხოვა. რაკი ის საქართველოს ყმადანაფიცი იყო, საქართველოს მთავრობამ დახმარება საჭიროდ სცნო.

საქართველოსა და ათაბაგის ჯარებს შორის დიდი ბრძოლა მოხდა 1195 წელს ციხე-ქალაქ შამქორთან. მტერი საშინლად დამარცხდა და ათაბაგმა გაქცევით ძლივს უშველა თავს. ქართველებს დიდძალი ნადავლი ჩაუვარდათ ხელში, შამქორი კი თამარმა თავის ყმადანაფიცებს გადასცა.

შამქორის შემდეგ საქართველოს ჯარმა ქალაქი განძაც დაიმორჩილა.

დიდომებს შორის ქართველები განუწყვეტლივ ლაშქრობდნენ საქართველოს მეზობელ ქვეყნებში, იქ მღვარ თურქებს ანადგურებდნენ, იბრუნებდნენ



მტრისგან მიტაცებულ ქართულ ციხე-ქალაქებს და ახალ ქვეყნებსაც საქართველოს მეფეს უმორჩილებდნენ. ასე მოხდა გელაქუნისა (სევანის) და ღვინის თემებში და ჭოროხის ხეობის ზემო ნაწილში.

1204 წელს თამარი იძულებული გახდა საქართველოს ჯარის მოქმედება უფრო შორეულ მანძილზე გადაეტანა. იმ ხანებში უცხოეთიდან ჩამოსულ ქართული სავანების წარმომადგენლებს თამარ მეფემ დიდი ქონებრივი შეწირულობა გადასცა, მაგრამ ბიზანტიის კეისარმა უკან დაბრუნებულ ქართველ ბერებს ეს ფული ჩამოართვა და დაისაკუთრა. ასეთი საქციელის დასასჯელად, თამარმა საქართველოს მხედრობა ბიზანტიის იმ სანაპიროს შეუსია, რომელიც საქართველოს მოსაზღვრე იყო და რომელშიც ქართველი ტომები, ლაზები ანუ ჭანები ცხოვრობდნენ. ამ ლაშქრობის დროს საქართველოს ჯარმა დაიპყრო მთელი ლაზისტანი, ტრაპიზონი,

სამსონი, სინოპი, კერასუტი, აილო კოტიორა და ერაკლიამდე მიადწია. დაპყრობილი სანაპირო საქართველოს მთავრობამ ბიზანტიას ჩამოართვა და ცალკე სამეფოდ “ტრაპიზონის სამეფოდ” გადააქცია, რომელშიც თამარმა შთამომავლობით ბერძენი უფლისწული, დედის მხრით თავისი ნათესავი და საქართველოში გაზრდილი ალექსი კომნენოსი გაამეფა.

ამრიგად, ამ დროიდან მოყოლებული, საქართველოს მეზობლად თვით საქართველოს წყალობითვე შექმნილი დიდი სამეფო გაჩნდა, რომელიც ქართველი ტომითაც იყო დასახლებული და პოლიტიკურადაც საქართველოს სახელმწიფოსთან იყო მჭიდროდ დაკავშირებული, ტრაპიზონის საკეისროში (სამეფოში) საქართველოს გაგლენა იყო გაბატონებული.

1204-1205 წელს საქართველოს ჯარმა ჯერ ხლათი დალაშქრა, შემდეგ მანაზკერტი და არჭვეში. ამავე ხანებში თამარმა თავისი ჯარი კარის (ყარსის) ციხე-ქალაქის ასაღებად გაგზავნა. გარემოცვა კარგა ხანს გაგრძელდა, მაგრამ მაინც საქართველოს ჯარის სრული გამარჯვებით დამთავრდა. კარის ციხეს სამხედრო თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან სამხრეთიდან საქართველოში მომავალს ერთ-ერთ მნიშვნელოვან გზას ჰკრავდა. თამარმა კარის ციხე-ქალაქი უშუალოდ სამეფო ტახტს დაუმორჩილა.

საქართველოს ძღვევამოსილების ხმა მთელს მახლობელ აღმოსავლეთს მოედო. ეს ამბავი მაჰმადიან მფლობელებში დიდ შეშფოთებას იწვევდა. ყველაზე მეტად რუმის სულთანი რუქნადინი იყო აღშფოთებული. რუმის სასულთნო ძლიერი თურქული სამეფო იყო, რომელიც დღევანდელი თურქეთის ფარგლებში მდებარეობდა. რუქნადინმა მეზობელი ყველა მაჰმადიანური სამფლობელოს უფროსებთან გააბა მოლაპარაკება, რომ შეერთებული ძალით საქართველოს წინააღმდეგ გამოეღაშებინათ.

მოკავშირეებმა რომ 400 ათასი ჯარისკაცისგან შემდგარ ლაშქარს მოუყარეს თავი, რუქნადინმა თამარ მეფეს მუქარით საესე, ბრყვეული წერილი გამოუგზავნა, რომელშიც წინადადებას აძლევდა მას, უბრძოლველად დაემორჩილებოდა. საპასუხოდ თამარმა ბრძანება გასცა ჯარის შეყრის შესახებ. ეს განკარგულება სასწრაფოდ იქნა ასრულებული და უკან მიმავალ რუქნადინის ელჩს საქართველოს მთელი ლაშქარი კვალდაკვალ დაედევნა.

შეტაკება მოხდა საქართველოს ყველაზე სამხრეთით მდებარე თემში, ბასიანში (ერზრუმის მახლობლად). თავდაცვითი ბრძოლის მაგიერ ქართველებმა თავდასხმის ტაქტიკა აირჩიეს და მტერს შეუტყეს. თურქები იმდენად ჭარბობდნენ რიცხვით ქართველებს, რომ პირველი სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ ქართველების მოწინავე

რაზმი, რომელსაც სახელგანთქმული სარდლები მეთაურობდნენ – ამირსპასალარი ზაქარია მხარგრძელი, ძმები შალვა და ივანე ახალციხელები და სხვები – შედრკა და უკან დაიხია. მაგრამ მალე ქართველებმა, მეფე დავით სოსლანისა და ზაქარია მხარგრძელის წინამძღოლობით, მოუარეს თურქებს და გვერდიდან დაჰკრეს. მტრის უზარმაზარი ლაშქარი აირია და გაიქცა. თურქები ისე სასტიკად დამარცხდნენ, რომ თვით რუქნადინი ტყვეობას ძლივს გადაურჩა. მათი დროშები, მთელი ქონება, რაც კი თან ჰქონდათ და მრავალი ტყვე საქართველოს ლაშქარს ჩაუვარდა ხელში.

ამ გამარჯვებამ საქართველოს ჯარის უძლეველობის სახელი განამტკიცა აღმოსავლეთში.

1207 წელს თამარის მეუღლე დავითი გარდაიცვალა და თამარმა სამეფო ტახტზე თანამმართველად თავისი თორმეტი წლის ვაჟი გიორგი ლაშა აიყვანა. საგარეო ლაშქრობანი ამის შემდეგაც გრძელდებოდა. 1208-1209 წელს არჭვეში აიღეს. 1208 წელს, აღდგომა დღეს, როდესაც რიყრაჟზე ქალაქის კარები გაღებული იყო, არდაველის (ირანში) სულთანი ანისს შეესია, ეკლესიებში მყოფი ხალხი ამოხოცა და ისევე სწრაფად, როგორც შემოიჭრა, ირანში დაბრუნდა. მოახსენეს თუ არა თამარს ამ კანდიერი შემოსევის ამბავი, მან საპასუხოდ ამსჯელი ლაშქრობა ბრძანა. იმავე წესით, როგორც ანისი იყო დარბეული, დარბეულ და აწიოკებულ იქნა არდაველიც, ხოლო არდაველის სულთანი სიკვდილით დასაჯეს.

ამ გალაშქრებამ ქართველ მხედართმთავრებს ირანის სრული უმწეობის სურათი გადაუშალა. ისინი დარწმუნდნენ, რომ ირანის დაპყრობა ძნელი საქმე აღარ იყო. 1210 წელს ამირსპასალარ ზაქარია მხარგრძელისა და სხვა მაღალი მოხელეების თხოვნით სახელმწიფო დარბაზმა და თამარ მეფემ ირანში ლაშქრობა გადაწყვიტეს.

საქართველოს მრავალრიცხოვანი მხედრობა ირანისკენ გაემართა. ზედიზედ აღებულ იქნა ირანის ცნობილი ქალაქები: მარანდი, თაერეჟი (თაერიზი), მიანა, ზენგანი (ზენჯანი) და ყაზვინი. დასასრულ, ქართველმა ჯარმა როგ-გურსაც კი მიადწია, მაგრამ ახლა მას იმდენი ნადავლი ჰქონდა დაგროვებული, რომ ლაშქრობის გაგრძელება შეუძლებელი შეიქნა.

საქართველოს სამეფოში არა მარტო ბევრი სხვადასხვა ეროვნება, არამედ ბევრი სხვადასხვა სარწმუნოებაც იყრიდა თავს. მართლმადიდებლური ქრისტიანობის გარდა, საქართველოს სახელმწიფოში იყვნენ მონოფიზიტი სომხებიცა და მაჰმადიანებიც – სპარსელები, თურქები და არაბები. ამიტომ იყო, რომ საქართველოს მთავრობა, დავით აღმაშენებლიდან მოყოლებული სარწმუნოებრივი შემწყნარებლობის პოლიტიკას მისდევდა.

ამ პოლიტიკის ნიმუშია ერთი შემთხვევა,

რომელიც შუა საუკუნეებისათვის სრულიად უჩვეულო იყო. ორ სომხურ მონასტერს შორის დავა ატყდა ძვირფასი ოქროს ჯვრის გამო. ამ დავის გასარჩევად მეფის მწიგნობართუხუცესმა საგანგებო სასამართლო გამოიწვიო, რომლის წევრებად მოწვეულნი იყვნენ როგორც სომეხი, ისე ქართველი სამღვდლო პირები. ესეც გაუგონარი ამბავი იყო, რადგანაც საკითხი სომეხთა ეკლესიას ეხებოდა მხოლოდ. მაგრამ ამაზე უფრო საყურადღებო ის არის, რომ ამავე სასამართლოს სრულყოფილებიან მსაჯულ წევრებად დანიშნული იყვნენ თბილისისა და განძის ცნობილი ყადიები (მაჰმადიანთა სჯულის მეცნიერნი)! ამიტომაც არის, რომ საქართველოში მყოფი მაჰმადიანები, თვით არაბულ-სპარსული იმდროინდელი ისტორიული წყაროების ცნობით, თავის თავს ბევრ მუსლიმან სახელმწიფოს ქვეშევრდომობაზე უკეთესად გრძნობდნენ.

მეთორმეტე საუკუნის საქართველო, როგორც ვიცით, ფეოდალური ქვეყანა იყო. ფეოდალური ურთიერთობა აქ

სულ უფრო და უფრო იზრდებოდა და უფრო მეტ ხალხს აბამდა თავის უღელში. სახელმწიფოც ხელს უწყობდა ფეოდალიზმის განმტკიცებას.

ფეოდალური ურთიერთობის ზრდა იწვევდა ხალხის ბრძოლას ფეოდალიზმის წინააღმდეგ, თავისი ფეოდალური ვალდებულებების გადიდების წინააღმდეგ. ამ ბრძოლის ერთ-ერთი გამოხატულება იყო დიდი აჯანყება აღმოსავლეთ საქართველოს მიტებში, თამარის მეფობის უკანასკნელ წლებში.

აქაური მთიელები, ფხოველები (დღევანდელი ფშავ-ხევსურების წინაპრები) და დიდოელები, გადასდგომიან საქართველოს მთავრობას და სრული ურჩობა გამოუცხადებიათ. აჯანყება ისე გაფართოებულა, რომ თამარი იძულებული გამხდარა მთაში დიდი ჯარი გაეგზავნა ამირსპასალარ-ათაბაგის ივანე მხარგრძელის მეთაურობით. ივანე ათაბაგმა სამი თვე მოანდომა შეამბოხებთან ბრძოლას და დიდი სისასტიკით ჩააქრო იგი.

შამქორისა და ბასიანის ომებში ფეოდალური საქართველოს შეიარაღებული ძალების საერთაშორისო რეზონანსის მქონე გამარჯვებებმა შორს გაიტანეს თამარის სახელმწიფოს ძლიერების სახელი: ფაქტი იყო, რომ ახლო აღმოსავლეთის იმჟამინდელ სამხედრო პოლიტიკურ ძალთა შორის მისთვის ანგარიშგაუწველობა სიკეთეს არავის უქადდა. ასეთი რეპუტაცია შეექმნა მას ევროპის სახელმწიფოთა თვალშიც.

1214 წელს გარდაიცვალა თამარ მეფე. მემკვიდრეებს ცნობით სიკვდილის წინ თამარი დასასვენებლად მდგარა ნაჭარმაგვეის სასახლეში და იქ განაგებდა სახელმწიფო საქმეებს. აქ იგი უკურნებელი სენით (ქალური დაავადებით) დაავადებულა. მძიმე ავადმყოფი ნაჭარმაგვეიდან გადმოუყვანიათ თბილისში, სადაც მას თავი უფრო ცუდად უგრძენია. მაშინ თამარი გადაუყვანიათ



თბილისიდან აგარის ციხეში.

მემკვიდრეებს სიტყვით, თამარმა ყველანი დალოცა, ღმერთს შეავედრა თავისი სამეფო: “შენ შეგვედრებ სამეფოსა ამას რომელი შენ მიერ მერწმუნა, და ერსა ამას პატიოსანითა სისხლითა შენითა მოსყიდულსა”-ო.

მეფის ნეშტი თბილისიდან გადაასვენეს ჯერ მცხეთაში, შემდეგ გელათში, სადაც დამარხეს საგვარეულო სასაფლაოზე: “მცირეთა შინა დღეთა მცხეთად დადევს, და მერმე უკანასკნელ თვით მუნვე გელათს დაამკვიდრეს თვისსა შინა სამარხოსა, დიდებად მუნ შინა დამკვიდრებულთა პაპათა და მამათა მისთა, სახელოვანთა, დიდთა მეფეთა თანა”.

მაგრამ თამარის საფლავი დღეს გელათში არ ჩანს და ამან შექმნა ხალხში თამარის საფლავის შესახებ მრავალი თქმულება და ლეგენდა.

ძლევაძოსილ თამარს, რომელმაც მრავალი მაჰმადიანი სულთანი დაამარცხა და უკუაქცია, ბევრი მტერი ჰყავდა და მათგან შურისგების შიშით ხალხური თქმულებით თამარს ასეთი ანდერძი დაუტოვებია:

“ანდერძი ნახეს მეფისა
თამარის დატოვებული:
ჰქმენითო სამი კუბონი
თვალ-ოქროთ გამშვენებული,
ერთი დამარხეთ მცხეთასა,
ერთი ვარძიას დებული,
მე დამმარხეთო გელათში,
არ მყონ თათართა ვნებული”.

მომზადებულია ტელეკომპანია „საქართველოს“ პროექტ „მთავარსარდლის“ ლიტერატურული სცენარის მიხედვით ავტორი ლევან უმიკაშვილი

სვეტიცხოვნი


სვეტიცხოვლობა

„არ არის საქართველოში სინხინდჷ, რომელიც გაუცოლდება სვეციცხოველს სიძველით, სიღიაღით, ისტორიული მოვინებით და ღვთიურია განგებულებით.“

ანტონ ნაცროშვილი

სვეტიცხოველი არის ქართული სულიერების, კულტურისა და ხელოვნების უმნიშვნელოვანესი ძეგლი. უამრავი საიდუმლოსა და სიწმინდის მატარებელია იგი. ტაძრის ისტორია შორეულ წარსულში იწყება. როგორც „ქართლის ცხოვრება“ გადმოგვცემს, ჩვ. წ. I საუკუნეში, გოლგოთაზე მაცხოვრის ჯვარცმის დასასწრებად ჩასულ ქართველ ებრაელებს ელიოზ მცხეთელსა და ღონგინოზ კარსნელს წილად უფლის კვართი ერგოთ. ისინი, რა თქმა უნდა, გახარებულები დაბრუნდნენ ქართლში კვართთან ერთად. ქალაქის შემოსასვლელში ელიოზს მისი და სიღონია დახვდა, რომელმაც გულში ჩაიკრა უფლის კვართი და იქვე განუტევა სული. სიღონიას ვერავენ მოაშორა კვართი და იგი მასთან ერთად დამარხეს. მოგვიანებით სიღონიას საფლავზე კვიპაროსის ხე ამოვიდა. აი, ამგვარად ერგო მცხეთას ყოფილიყო უფლის კვართის „მფარველი“.

IV საუკუნეში, როდესაც მირიან მეფემ ქრისტიანობა მიიღო, გადაწყვიტა სიღონიას საფლავზე ეს ხე მოეჭრათ და მის ადგილზე ეკლესია აეშენებინათ. მოჭრილი ხისაგან დაამზადეს შვიდი სვეტი. ექვსი აღმართეს, ხოლო მეშვიდე ადგილიდან ვერ დაძრეს. წმინდა ნინომ, რომლის წყალობითაც არამართო სამეფო ოჯახი, არამედ მთელი ქართლი



გაქრისტიანდა, მთელი დამე ლოცვაში გაატარა იმისათვის, რომ სვეტი ადგილიდან დაეძრათ. გამთენიისას მოხდა სასწაული, გამოჩნდა ნათლით მოსილი ჭაბუკი, რომელმაც ხელი მოჰკიდა სვეტს და აღამაღლა. გაბრწყინებული სვეტი ჰაერში გაჩერდა. მთელი ქალაქი მიდიოდა ნათლის სვეტის თაყვანისსაცემად. მას მირონი სდიოდა და ყველა ვინც კი მიუახლოვდებოდა სნეულებისაგან ინკურნებოდა. სწორედ ეს იყო სიცოცხლის მომნიჭებელი „სვეტი ცხოველი“. მომავალში აქ აგებულ ტაძარს სწორედ მისი სახელი ეწოდა.

V საუკუნის მეორე ნახევარში, ვახტანგ გორგასლის მეფობის დროს, როდესაც ეკლესიამ დამოუკიდებლობა მოიპოვა და მცხეთა სატახტო ქალაქად გამოცხადდა, აუცილებელი გახდა პატარა ხის ეკლესიის ნაცვლად ისეთი ეკლესიის აშენება, რომელიც თავისი სიდიდით საპატრიარქოს რეზიდენციას შეესაბამებოდა. ცოტა ხანში დაიწყო მშენებლობა და ხის ეკლესიის ადგილზე აიგო დიდი ზომის ქვის სამნავიანი ბაზილიკური ტიპის ეკლესია. გორგასლისეული სვეტიცხოველი ჩვენამდე არ მოღწეულა, იგი გადაუწვავს აბულ ყასიმს X საუკუნეში.

XI საუკუნის დასაწყისში, გიორგი I-ის მეფობის დროს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მელქისედეკ I-ის ბრძანებით ტაძარი განაახლეს და ჯვარ-გუმბათოვანი

მნიშვნელოვანი ღირსშესანიშნავი სინამდვილე საქართველოში. მადრიდის სეკციისთვის ყოველი ქართველისათვის განსაკუთრებულად მძიმე დღეა. ცხოველმყოფელი ძალა აქვს.
ალექსანდრე ცაგარელი

ეკლესია ააშენეს. ახალი ტაძრის დამახასიათებელი იყო პირამიდული, თექვსმეტსარკმელიანი გუმბათი, რომლისგანაც იშლებოდა ჯვრის მკლავები. სამწუხაროდ ტაძრის გუმბათი 1283 წელს, საქართველოში მომხდარი ძლიერი მიწისძვრის შედეგად ჩამოინგრა. იგი XIV საუკუნის პირველ ნახევარში გიორგი ბრწყინვალემ შეაკეთა, მაგრამ იმავე საუკუნის ბოლოს გუმბათი ხელახლა ჩამოანგრეხს თემურ-ლენგის მეომრებმა. მათ არა მარტო მოანგრეხს ტაძრის გალავანი, გაძარცვეს ოქროთი მოპირკეთებული ემბაზი და ბიბლიოთეკა, არამედ გადაწვიტეს ტაძრის დანგრევა. ამ მიზნით, თემურ-ლენგის ურდოებმა მოანგრეხს სვეტიცხოვლის ბურჯები, მაგრამ ტაძარი არ დანგრეულა, ჩამოიქცა მხოლოდ გუმბათი. ტაძარი ხელახლა აღადგინა საქართველოს მეფე ალექსანდრე I დიდმა, მისი მეფობის ხანაში. აღდგენისას განაახლეს დანგრეული ბურჯები და გამაგრების მიზნით უფრო გაამსხვილეს, რამაც კვლავ შეცვალა ტაძრის წინანდელი სახე. მოგვიანებით, შაჰ-აბასის შემოსევებისას კვლავ

დაზიანდა ტაძარი და მის ირგვლივ აშენებული გოლოლიც. 1656 წელს, როსტომ მეფის მეუღლის, მარიამ დედოფლის ინიციატივით აღადგინეს როგორც სვეტიცხოვლის გუმბათი ასევე გოლოლიც. სვეტიცხოვლის ძირიდან უძველესი დროიდან მოედინებოდა მირონი, რომელიც ქართველთა მაცოცხლებელი წყარო იყო. პლატონ იოსელიანის მოსაზრებით, ეს უნდა დაწვევტილიყო შაჰ-აბასის შემოსევების დროს, რადგან დიდად შეურაცხველია თვით ტაძარი.

სვეტიცხოველი ყოველთვის წარმოადგენდა საქართველოს რელიგიურ ცენტრს, რადგან იგი იყო საპატრიარქო ტაძარი და კათოლიკოს-პატრიარქთა რეზიდენცია. სვეტიცხოვლის დღესასწაული აღინიშნება 14 ოქტომბერს. ეს არის დღესასწაული უფლის კვართისა და მირონმდინარე სვეტისა, ამავე დღეს არის ხსენება წმინდა სილონისა და მოციქულთა სწორთა მეფე მირიანის და ნანა დედოფლისა.

ეკატერინე ცირიკაშვილი

წმ

სექტლისი კალენდარი

06.09	ლიჩხი მამა სერაფიონ საკვირველმოქმედი (1747)	8.10	არსენ დიდი კათოლიკოსი (887)
10.09	ხსენება შუშანიკ დედოფლისა (475)	9.10	დღესასწაული ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხაჯისა, რომელიც ჩამოსვენდა საქართველოში ათონის ივერთა მონასტრიდან (1989)
21.09	შობა ყოვლადწმინდისა დედოფლისა ჩვენისა ღვთისმშობლისა და მარადის ქალწულისა მარიაშისა- ღვთისმშობლობა	14.10	მცხეთობა- სვეტიცხოველობა, ხსენება მოციქულთა სწორნი მეფე მირიანი და დედოფალი ნანასი (IV)
25.09	ლიჩხი გიორგი ქყონდიდელი დაკით აღმაშენებლის მოძღვარი (1118)	15.10	წმინდა დიდმოწამენი, არგუეთის მთავარნი დაკით და კონსტანტინე, მხეიძენი (740)
26.09	წმინდა დიდმოწამე, კახეთის დედოფალი ქეთევანი (1624)	18.10	ხსენება გრიგოლ ხანძთელისა
27.09	ჯვართაშაღლება	29.10	ხსენება ზენონ ივალთოელისა (VI)
28.09	ხსენება იოსებ ალავერდელისა (570)		
1.10	წმინდა მოწამენი: ბიძინა ჩოლოყაშვილი და ორნი ძმანი, ქსნის ერისთავნი ელიზბარნი და შალვა (1661)		



ქართული ჯერმანია



ჩიკობავა შიგელიძე

ლაგრძელება. წასაწყისი: „ქართული“, № 3 (22), 2009.

GEORGISCHES KOMITEE WEIBER GEORG (ქართული კომიტეტი ქეთრი ლორგი) — შეიქმნა ჯერმანიაში 1924 წ. ქართველი ემიგრანტების მიერ: შიხილი ჩერეთელი, ზეო ზერესელიძე, ხალვა ზაღლაკელიძე, სლექსანდრე შანველიშვილი, ლიგოლ სობაქიძე, ზიქტორ ჩოხაძე, ზალისტრატე სალია; 1926 წ. ცხილისში შეიქმნა ქეთრი ლორგის კომიტეტის იატაკქვეშა გაშტობა; 1937 წ. ყინსახკომმა დააპატიმრა ცხილისის განყოფილების მეთაური ჯვენი ჯვალაძე, რომელიც დახვრიტეს 25 ოქტომბერს; მე-2 მსოფლიო ომის დროს კომიტეტი აქტიურად თანამშრომლობდა გერმანულ ჯერმანთან და ეხმარებოდა მას ჯარისკაცების განვევამი ქართულ ჯვეონისთვის.

MAGLAKELIDZE SCHALWA (ზაღლაკელიძე ხალვა, 1893 — 1970 წწ.) — ქართველი პოლიტიკოსი, ჯერმანის ქართული ჯვეონის მეთაური, ფილოსოფიის დოქტორი იურისპრუდენციაში; დაამთავრა ჯერლინის უნივერსიტეტი; 1919-1920 წწ. ცხილისის გენერალ-გებერნატორი; აუსეთის მიერ საქართველოს შემოკრახიული აესპუბლიკის დაპყრობის შემდეგ იმყოფებოდა ემიგრაციაში; 1929 წ. ლორგი ჯვანგირაძესთან ერთად სიგამი ჩამოაყალიბა საზოგადოება „ჯვერია“; იყო მთავარი დამფუძნებელი და პირველი ხელმძღვანელი ჯერმანიაში დაარსებული ქეთრი ლორგის ორგანიზაციის (1925-1945 წწ.) და ქართველ ღრადიციონალისტთა ჯვეონის (1942 წ.); მე-2 მსოფლიო ომის დროს მსახურობდა ჯერმანტში და მეთაურობდა ქართულ ჯვეონს, რომელიც ჩამოყალიბდა საბჭოთა ჯვეონთან საბრძოლველად და საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად; 1944 წ. მას მიენიჭა ჯერმანის გენერალ-მაეორის ნოდება; ომის შემდეგ ცხოვრობდა და მოღვაწეობდა წასავლეთ


ჯერმანიაში; 1949-54 წწ. მსახურობდა ზონრად სდენაუერის სამხედრო მრჩეველად; 1954 წ. 26 იანვარს შიუნხენში დააფუძნა ორგანიზაცია „საზღვარგარეთ ქართველ მეომართა ჯვეონი“; იმავე წლის აგვისტოში იგი შეიპყრეს საბჭოთა სცკ-ის აგენტებმა; სიცოცხლის მომდევნო წლები გაატარა პატიმრობაში.



ქართული ჯვეონის მეთაური ხალვა ზაღლაკელიძე

ჯერმანის ქართული ჯვეონის განმარტვაველები ნიშნები

სამხრეები და საკილოები



- ჯერმანის ქართული ჯვეონის შემადგენლობა**
- 795-ე ქვე. ბატ. „ხალვა ზაღლაკელიძე“
 - 796-ე ქვე. ბატ.
 - 797-ე ქვე. ბატ.ი „ლორგი სააკაძე“
 - 798-ე ქვე. ბატ. „შუფე ორეკლე II“
 - 799-ე ქვე. ბატ. „საფით სდმაშენებელი“
 - 822-ე ქვე. ბატ. „მაშარ შიფე“
 - 823-ე ქვე. ბატ. „ჟოთა აუსთაველი“
 - 824-ე ქვე. ბატ. „ლოია ზაგვაძე“
 - I/1 სამთო-მსროლელი ბატ.
 - I/9 ქვე. ბატ.
 - II/4 სამთო-მსროლელი ბატ.
 - II/125 ხასნავლო ბატ.
 - II/198 ქვეითი ბატ.
 - III/9 ხასნავლო ბატ.
 - „ჯვერმანის“ №1 ქართული ბატ.
 - ქართული SS გვეფი
 - სივერსული გვეფი „მაშარ I“
 - სივერსული გვეფი „მაშარ II“

ზერმახტის ჴართული ჴევიონის ხაბრძოლო გმა

<p>795-ე ქვ. ბატალიონი „ჴალვა ჴაღლაკელიძე“</p> <p>1942 წ.: რაღვივის მიხართულეხა, ჴაქსანის და ჴრუხის ჴეობები ჴსეთში. 1944 წ.: ჴერბურთან (საფრანგეთი) მოიგერია და უკუავდო ᄒსს-ს დეხანტი.</p>	<p>799-ე ქვ. ბატალიონი „ᄒავით ᄒღმაშენებელი“</p> <p>1943-45 წწ.: მოქმედებდა საფრანგეთის ცენტრალურ რაიონებში.</p>	<p>II/4 ხაშთო-მხრ. ბატალიონი</p> <p>1942/43 წწ.: ხრდილოეთ ჴავკახია, ჴირიში. ᄒმის ბოლოს საფრანგეთში.</p>
<p>796-ე ქვ. ბატალიონი</p> <p>1942/43 წწ.: იბრძოდა ჴუაფსეს მისადგომებთან. ᄒაშალეს კაპიტან წიჭინაძის და რამდენიმე ათეული ჴარისკაცის რუხების მხარეზე გადახვლის გაშო.</p>	<p>822-ე ქვ. ბატალიონი „ᄒამარ ᄒუფე“</p> <p>1944/45 წწ.: ჴიონთან (საფრანგეთი) 344-ე გერმანული დივიზიის დაქვემდებარებაში. ᄒმის ბოლოს დისლოცირებული იყო კუნძულ ჴუქელზე (სოლანდია), სადაც მოახლო აჯანყება, რომელიც გრძელდებოდა 1945 წლის 22 მაისამდე და ცნობილია „ღროშის უკანასკნელი ბრძოლის“ ხახელით.</p>	<p>II/9 ქვ. ბატალიონი</p> <p>1942/43 წწ.: ხრდილოეთ ჴავკახია, ჴირიში. ᄒმის ბოლოს საფრანგეთში.</p>
<p>797-ე ქვ. ბატალიონი „ღიორვი სააკაძე“</p> <p>1943/44 წწ.: ჴრენვილში (საფრანგეთი) 709-ე გერმანული დივიზიის შემადგენლობაში.</p>	<p>823-ე ქვ. ბატალიონი „ჴთოა ᄒუსთაველი“</p> <p>1945 წ.: იყავდა ჴა-შანშ კუნძულ ჴერნსიზე.</p>	<p>II/198 ქვ. ბატალიონი</p> <p>1943 წ.: 198-ე გერმანული დივიზიის შემადგენლობაში წარმატებით იბრძოდა ჴურსკთან, ჴარკოვის მიდამოებში და ᄒნეპრზე. 1945 წ.: იბრძოდა ხრდილოეთ ჴტალიაში პარტიზანების წინააღმდეგ SS-ის II სატანკო კორპუსის შემადგენლობაში.</p>
<p>798-ე ქვ. ბატალიონი „ᄒუფე ᄒრეკლე II“</p> <p>1943/44 წწ.: სენ ჩაბერი (საფრანგეთი) 384-ე გერმანული დივიზიის შემადგენლობაში.</p>	<p>824-ე ქვ. ბატალიონი „ღლია სავეჯაძე“</p> <p>1944 წ.: იბრძოდა ჴევიონის მისადგომებთან გერმანული 349-ე დივიზიის შემადგენლობაში.</p>	<p>სადამფერვო ბატალიონი „ღერგმანი“</p> <p>1942/43 წწ.: დივერსიები ხრდილო ჴავკახიაში, ანტიპარტიზანული ბრძოლები ჴირიშიში.</p>
		<p>ჴართული SS კვეფი</p> <p>1944/45 წწ.: ხრდილოეთი ჴტალია</p>



ღუღის კულტურა სხარტიველოში

ისტორიული მონაცემების თანახმად, კაცობრიობას ღუღის ხარშვის 8000 წლის გამოცდილება აქვს. არსებობს ღუღის წარმოშობის სხვადასხვა ვერსია. ანთროპოლოგთა გარკვეული ნაწილი ამტკიცებს, რომ ღუღის სამშობლო ეგვიპტე და შუამდინარეთია. ერთ-ერთი ღეგენდის მიხედვით, გულმაეიწყე პურის მცხობელს მხეზე დარჩა პურის ცომი. ცომი ცოტა ხანში იქცა თხევად მასად. დარცხვენილმა მცხობელმა გასინჯა უცნაური სითხე და მოეწონა. ასე გაჩნდა ღუღი.

ღუღი ეგვიპტედან ეთიოპიაში, სპარსეთში და კავკასიაში გავრცელდა. ინდოევროპული ერებიდან პირველებმა ღუღი თრაკიელებმა და ფრიგიელებმა მოხარშეს. ცნობილია, რომ არისტოტელეს დროსაც კი, ხრდილო და ცენტრალურ ევროპაში ხარშაენენ ღუღს. გაიუს პინიუსი (62-114 წ.წ) აღწერს 115 სახეობის ღუღს. დაახლოებით ამ პერიოდში ამზადებდენ ღუღს გერმანელები. არსებობს მოსაზრება, რომ გერმანელებმა ღუღის დამზადება ფინიკიელებისგან ისწაულეს. ხოლო, გერმანიიდან

ლუდის დამზადების ტექნოლოგია ინგლისში და სკანდინავიაში გავრცელდა. მოგვიანებით ლუდმა მსოფლიო პოპულარობა მოიპოვა.

საქართველოში ლუდის კულტურა უძველესი ცივილიზაციის მქონე ქვეყნებიდან გავრცელდა. ისტორიული ცნობების მიხედვით საქართველოს მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ქონდა საბერძნეთთან, ბიზანტიასთან, სპარსეთთან, ეგვიპტესთან. საქართველო ცნობილია თავისი მევენახეობით და ღვინის წარმოებით. ამავე დროს, საქართველოს მთიანეთი, სადაც ვენახი არ ხარობს, სახელგანთქმულია თავისი ლუდით.

ლუდის დამზადება უამრავ დღესასწაულს და რიტუალს უკავშირდება. ძველად ლუდით ადღეგრძელებდნენ ოჯახში შემოსულ სტუმარს, აგრეთვე, მასპინძელ ოჯახს. საინტერესოა, როდესაც მტრების შერიგება ვერ ხერხდებოდა შუამავალის საშუალებით, დაპირისპირებულები მიყვდათ წმინდა ადგილას და ერთ-ერთი მხარე თავზობდა მოწინააღმდეგეს კათხა ლუდს შემდეგი სიტყვებით: “პატივი დამდეთ”. ეს ნიშნავდა, რომ ის დგამდა შესარიგებლად პირველ ნაბიჯს. ლუდის დაღვევა განწმენდად აღიქმებოდა.

საქართველოს ერთ-ერთ მთიან კუთხეში, ხევსურეთში არსებობს ლუდის დაღვევის კიდევ ერთი ტრადიცია, რომელიც სიმბოლოურად ქალის გატაცებას უკავშირდება. როდესაც ქალს იტაცებდნენ, მის დასაბრუნებლად მისული მეომრები ნატანჯ ქალს ლუდს ასმევდნენ შვების მოგვრის ნიშნად. ასევე, ძველი ტრადიციაა ხევსურეთში ინიციაცია, როდესაც 14 წლის ყმაწვილს ლუდის დაღვევის ნებას რთავდნენ. ამ მომენტიდან ეს ადამიანი ჩაიწერებოდა ლუდის მსმელთა სიაში. შესაბამისად, მას ითვალისწინებდნენ ლუდის ხარშვის დროს. დღესასწაულებზე ჩვილ ბავშვებსაც ასმევდნენ ლუდს და შუბლზე ნახშირით ნიშანს ასვამდნენ.

ხევსურები, თუშები, ფშავეები, გუდამაყრელები და მოხვევები ტრადიციულად დღესასწაულზე ლუდის მხარშველ ერთობლივ ჯგუფებს ქმნიდნენ. ასე ინარჩუნებდნენ და ავითარებდნენ ლუდის ხარისხიან წარმოებას.

საქართველოში ლუდს, როგორც ალკოჰოლურ სასმელს ძირითადად რელიგიური დატვირთვა ჰქონდა. ის უკავშირდებოდა სიმამაცეს და გმირობას. რაც მთავარია, სულიერ სიძლიერეს.

მთაში ლუდის ხარშვა უფრო მეტად მისტიურ რიტუალთან ასოცირდებოდა. მისი მზადება 7-8 დღით ადრე იწყებოდა და მთელი პროცესი თემის უხუცესის მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ მიმდინარეობდა, რომელსაც ამ დროს ადამიანსა და ღმერთს შორის შუამავლად თვლიდნენ.

უმაღლესი ხარისხის ლუდს საქართველოში



შერიისაგან ხარშავდნენ. მარცვალს თემის უხუცესის მეთვალყურეობის ქვეშ სალოცავის ბელელში ინახავდნენ. გადარჩეულ მარცვალს თხის ბეწვისაგან მოქსოვილი ტომრებით გასაფუებლად რამდენიმე დღით მდინარეში ათავსებდნენ. გაფუებულ შვრიის მარცვალს გასაწურად ზემოდან დიდ ბრტყელ ქვებს აწყობდნენ. შვრიის მარცვლით სავსე ტომრები რამდენიმე დღე ნიაფდებოდა. შემდეგ მარცვალი გასათობად მშრალი ქსოვილით იფარებოდა. სამი — ოთხი დღის შემდეგ უკვე საკმარისად გაღვებულ შვრიის მარცვალს საუკეთესო პროპორციის მისაღებად იგივე რაოდენობის წყალს უმატებდნენ. კასრში მოთავსებული შვრიის და წყლის ნარევი მუდმივად საჭიროებდა მორევას და სითბოს. მიღებული მასა იწყებდა დუღილს, ის გადაჰქონდათ სხვა ჭურჭელში, სადაც სასურველი დონის მიღწევის შემდეგ დუღილის პროცესი მთავრდებოდა. მიღებულ მასას აცივებდნენ და თუკი მას მოტკბო გემო ქონდა, სქელი და წებოვანი იყო, დუღილის ციკლი მთავრდებოდა. შემდეგ კასრს აჩერებდნენ გასაცივებლად, მიღებულ ლუდს ფილტრავდნენ და გადაჰქონდათ სხვა ჭურჭელში. ახლად გამოხდილ ლუდს თემის უხუცესი აგემოვნებდა, რომელიც ამ საქმეში ყველაზე გამოცდილად ითვლებოდა.

მთის მოსახლეობამ კარგად იცის ლუდის ფასი, რადგან მძიმე სამუშაო დღის შემდეგ ლუდი ძალებს აღადგენს და მას მხიარული განწყობა მოაქვს.

მედუნა გოგიშვილი



*ნოდარ დუმბაძის მეუღლეს, ქალბატონ ნანულის და მის შვილებს, ქალბატონ ქეთის და ქალბატონ მანანას ოჯახში ვესტუმრე... კარს კვლავ „ნ. ვ. დუმბაძე“ აწერია...
ღიახ, მე ორი დღის წინ ნოდარ დუმბაძესთან ვიყავი ოჯახში...*

ნანული დუმბაძე: - ჩემთვის, სხვათაშორის, ძალიან მძიმეა, მაგრამ გახარებული ვარ იმით, რომ ნოდარმა თავისი ადგილი მონახა. მას პატრიარქმა მოუნახა თავისი ადგილი... მთაწმინდა უძვირფასესია, შვილო...

- **თუმცა, დღემდე საუბრობენ, თითქოს „მზიურში“ დაკრძალვა საკუთარ ანდერძშივე უთხოვია ბატონ ნოდარს.**

- ტყუილია! არავითარი ანდერძი ნოდარს არ დაუტოვებია... ისე, ძალიან ბევრჯერ უხუმრია - „მე რომ მთაწმინდაზე ვიყო, მაგრამ ამის იმედი და მოლოდინი არ ჰქონია მას... „მზიური“ ნოდარის ჩანაფიქრი იყო და „ოცნებას კაცი არ მოუკლავს“ - ასეთი სათაურით პატარა მოთხრობაც კი აქვს დაწერილი. სხვათაშორის, თავის დროზე „მზიურის“ არაჩვეულებრივი პროექტი გაკეთდა, რომელიც დღესაც სახლში მაქვს შენახული. პატარა-პატარა კოტეჯები უნდა აშენებულიყო, რომლებშიც მიუსაფარი და ღარიბი ოჯახის ბავშვებს უნდა ეცხოვრათ... ერთი სურვილი თან გაიყოლა, რომ ასეთი ბავშვებისთვის მიწის სიყვარული და ბარით მუშაობა ესწავლებინა. პატარა სკოლაც უნდა გახსნილიყო „მზიურში“... „ალბათ, „მზიურში“ უნდა დავიკრძალო, რადგან მე თუ აქ ვიქნები, უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევენ აქაურობას...“ - ეს იყო მისი ნათქვამი და მოგეხსენებათ, როგორც მოუარეს „მზიურს“... რაც ნოდარის სიცოცხლეში გაკეთდა, ისიც კი დაინგრა, ახლის შექმნას ვინდა ჩივის...

- **ქალბატონო ნანული, ერთ-ერთი ტელეინტერვიუს დროს თითქოს გულისტკენაც გამოხატეთ... „ჩემგან შორს მიდისო ნოდარი“, - ბრძანეთ...**

- რა თქმა უნდა... გული იმაზეც მტკივა, რომ მთაწმინდაზე მეუღლეებს არ კრძალავენ და მე სამუდამოდ ვრჩები ნოდარის გარეშე... შვილის საფლავიც მაქვს და, ალბათ, ჩემი შვილის გვერდით დამკრძალავენ, თუმცა... ყოველთვის ნოდარის გვერდით ვიყავი და ახლაც მასთან მინდა ვიყო... ბევრს საუბრობენ და ხმამაღლა განაცხადებ: „მზიური“ არ მოკვდება! „მზიური“ მუდმივად იქნება „მზიური“! ღმერთმა ქნას, ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა მაინც შეიძინოს „მზიურის“ ტერიტორია... დარწმუნებული ვარ, ეს ადამიანი ისე მოუვლის და გააკეთებს საბავშვო ქალაქს, როგორც ნოდარს უნდოდა! ის მართლა გააკეთებს!

- **თითქოს, ვაკე-საბურთალოს ახალი გზის გაყვანის შემთხვევაში „მზიურს“ პრობლემები ექმნებაო...**

- როგორც ვიცი, პროექტით, გზა მდინარის იქითა ნაპირზე კეთდება, „მზიური“ კი აქეთა ნაპირზეა... მე ასე ამიხსნეს... არა მგონია, „მზიურს“ ხელი ახლოს ვინმემ... ღიახ, მჯერა, „მზიური“ მუდმივად იქნება საბავშვო ქალაქი! იცით, რა... ნოდარი არ მომკვდარა! მწერალი მაშინ კვდება, როცა მას არ ბეჭდავენ და მის ნაწარმოებებს არ ღვამენ თეატრებში... ნოდარის სახელი მსოფლიოშია გატანილი და ბავშვები დღესაც გიჟდებიან მის ლექსებზე... მე და ნოდარი

ფიზიკურად არ ვართ ერთად, თორემ ის ყოველთვის არის ჩემთან... სხვათაშორის, პატრიარქმა ადრეც არაერთხელ განაცხადა ნოდარის ნეშტის მთაწმინდაზე გადასვენებ ის თაობაზე და უღრმესი მადლობა მინდა ვუთხრა მის უწმინდესობას... იცით, რა მახსოვს? როდესაც ნოდარი გამოასვენეს, ზღვა ხალხი ესწრებოდა მის დაკრძალვას... ლენინის ძეგლზე იყვნენ ახალგაზრდები ასულები და ასე, ზემოდან უერთდებოდნენ პროცესიას... ფეხით იარა მთელმა ერმა „მზიურამდე“ და ეს იყო სწორედ ნოდარის სიყვარული... უნივერსიტეტიდან ოპერის შენობამდე იყო გადაჭიმული მაშინ ხალხის ზღვა...

ქეთი ღუმბაძე: - გულრიფში ვიყავი, როცა დამირეკეს და მითხრეს, მამა ცუდადაა და თქვენს ჩამოსვლას ითხოვს... ჩამოსვლისას „ლექსობინატთან“ უამრავი ადამიანი იყო მისული და მხოლოდ ერთი კაცი იღვა განცალკევებით... სრულიად უცნობი გარეგნობის ადამიანი იყო, ადვილად შესამჩნევი ყავისფერი ფეხსაცმელებითა და ყავისფერი შარვლით... მოდიოდა მთელი იმ დღეების განმავლობაში და, უბრალოდ, იღვა... როცა მამა გარდაიცვალა, იმ მანქანაში, რომელშიც მამა ესვენა, ის კაცი იჯდა... მან მოასვენა მამა სახლში... ეს კაცი ნამდვილი ჭიჭიკო გოგოლი იყო!

წედან დედას რომ ესაუბრებოდი, გისმენდით და ერთს მეც გეტყვი: მამას იღები არ კვდება! ეს ღრმად დაამტკიცა და გპირდებით: „მზიური“ არ მოკვდება! ეს სრულიად გამორიცხულია!

მანანა ღუმბაძე: - მამა ადის მთაწმინდაზე. ეს ჩემი გენეტიკური კოდის გამარჯვებაა და ჩემი გვარისთვის უდიდესი მადლია!



მჯერა, მამა მთაწმინდიდან გადმოხედავს სრულიად საქართველოს, დალოცავს, გააძლიერებს და ყველაფერი ისე იქნება, როგორც მან თქვა - „მთელი ქვეყანა ჩვენ ვიქნებით!“ სხვათაშორის, თემურლენგის საფლავს რომ ხსნიდნენ, უხუცესებმა პროტესტი გამოთქვეს. ისეთი მეომარი სული ბობოქრობს თემურლენგის საფლავში, კატაკლიზმები მოხდებაო და მართლაც, მეორე მსოფლიო ომი დაიწყო! როგორც კი დახურეს თემურლენგის საფლავი, მაშინვე დამთავრდა ომი... შედარებისთვის ბოდიშს ვიხდი, მაგრამ შეიძლება ბავშვურად მგონია მაინც... როცა მამაჩემის საფლავს გახსნიან, ისეთივე კეთილი და სამართლიანი, ჰუმანური აურა მოედება სამყაროს, როგორც მამა იყო! სხვათაშორის, ძალიან ცუდად ვართ... ასე გვგონია, სულ ახლახან გარდაიცვალა და დღეს ვკრძალავთ მამას... თუმცა, „მან დაიმსახურა სიმშვიდე!“...

ქეთი ღუმბაძე: - „მზიური“ მამას ქალაქია! „მზიური“ ზურიკელების ქალაქია და მერწმუნეთ, „მზიურში“ მუდმივად დარჩებიან მამაც, ბებიაც, ილიკოც და ილარიონიც...

ნანული ღუმბაძე: - ნოდარი დღეს საკუთარ „მზიურშია“... თუმცა, დარწმუნებული ვარ, თავადაც უზომოდ გახარებულია მთაწმინდით... მაგრამ მისი სულის ნაწილი მუდმივად დარჩება „მზიურში“...

ბოლოთქმა

საუბრის შემდეგ „მზიურში“ ჩავედი... გარდაცვალებიდან 25 წლის შემდეგ დიდი მწერალი „მზიურს“ ეთხოვება... „მზიური“ არ მოკვდებაო“, - დამამიმედეს... ალბათ, სოსოიაცგადმოგვხედავსმერემთაწმინდიდან და მოგვაძახებს: „მე ვხედავ მზეს!“... ილიკო და ილარიონი ისევ შემხვდებიან შუა ვაკეში, ღუმბაძისეულად გაშენებულ საბავშვო ქალაქში და, ალბათ, ოღლა ბებია დამლოცავს ისევ ცხოვრებისეულ გამოცდაზე მიმავალს... ამიერიდან კი... ნოდარ ღუმბაძე ღირსეულად დაივანებს მთაწმინდაზე, ზურიკელა კი მერისთან და მურადასთან ერთად, მჯერა, ყოველთვის „მზიურის“ გულში შემხვდება...

ესაუბრა
გიორგი მამაცაშვილი



DEUTSCHLAND
IST MEINE HEIMAT,
ABER
GEORGIEN -
MEIN SCHICKSAL!

„Die (georgische) Schrift ist schon Kunst,
die Sprache Musik“
Werner Rüdiger

Werner Rüdiger ist ein Ehrenbürger Georgiens und Professor der Kunstakademie Tbilissi. Er hat für georgische Kultur so viel geleistet, wie es nur wenige bis jetzt geschafft haben. Der gute Kenner georgischer Architektur hat sowohl in Georgien als auch in der Türkei die georgische Kulturdenkmäler studiert und auf die Blätter als Grafiken, Bilder und Zeichnungen dargeboten. „Kartuli“ wollte wissen, was den großen Künstler nach Georgien gebracht hat, welche Erfahrungen er dort gemacht hat und was ihm Georgien und georgische Kultur bedeutet:

Vorgeschichte

Schon von Kindesbeinen an, bin ich mit östlicher Mentalität aufgewachsen. Meine Großmutter war besonderes russischer Literatur zugetan. In jungen Jahren diente sie bei den russischen Adelligen in Wiesbaden. Während des zweiten Weltkrieges grenzte an unseren Garten ein Lager, in dem junge Ukrainerinnen lebten, die in einer Munitionsfabrik arbeiten mussten. Nach dem Krieg hausten dort, bis ca. Mitte der 50-er Jahren, ehemalige Fremdarbeiter aus der Sowjetunion. Mit einigen der Kinder ging ich auch zur Schule. Es gab auch eine orthodoxe Kirche und von unserem Balkon konnten wir die Feierlichkeiten beobachten. Ich kann mich in meiner Kindheit noch gut an den weißhaarigen Popen erinnern, wenn er von der Straßenbahn die Hauptstrasse entlangging. Mein Großvater mütterlicherseits war Bildhauer und Rompreisträger, sodass ich auch in einer künstlerischen Umgebung aufwuchs. Tante und Onkel väterlicherseits aus Schlesien hatten nach dem Krieg wieder eine Buchhandlung in Leipzig und versorgten mich zu Weihnachten und Geburtstag mit Büchern. Unter anderen waren auch Märchen und Erzählungen aus Russland und Georgien. Mein Blick ging schon in den jungen Jahren nach Osten. „Exoriente Lux“ – das Licht kommt aus dem Osten. Nach der Schule und während des Studiums, der Gebrauchsgrafik und Malerei Grafik, hatte ich ständig Verbindung zur Ostemigration und vervollkommnete mein Russisch an der staatlichen Sprachschule und am Dolmetscherinstitut. Am Hauptbahnhof kaufte ich öfters die Zeitschrift „Ogonjok“ und „Sovjetski

Sojuz“ in denen auch Berichte über Georgien und farbige Reproduktionen georgischer Künstler waren. Außerdem bezog ich von der sowjetischen Botschaft seit 1958 bis zum Ende der Sowjetunion regelmäßig die Zeitschrift „Sowjetunion heute“ in der besonderes in den späteren Jahren interessante Berichte über Georgien waren. Da gab es eine große Auswahl an Literatur und Kunst natürlich auch aus Georgien. München war Zentrum der Ostemigration. Radio Freies Europa und das Institut zur Erforschung der UdSSR, jeweils mit georgischer Redaktion.

Auf dem Weg nach Georgien

Nach einigen Jahren Tätigkeit als Gebrauchsgrafiker mit Aufhalten in Zagreb, Wien und Basel, kam der entscheidende Schritt im Frühjahr 1966 nach Istanbul. Bis dahin habe ich mich schon mit dem Thema „Turkvölker“ und Sprache befasst. Jetzt war ich Byzanz mit seinen noch vorhandenen Kulturdenkmälern ganz nahe - auch ein langgehängter Wunsch. Es gab viel zu zeichnen und zu aquarellieren. Das damalige Istanbul und die Türkei überhaupt, hat mit dem heutigen nichts mehr zu tun. Es gab noch ein Hauch von Romantik aus „Tausend und eine Nacht“, keine Brücken über das Goldene Horn und Bosphorus. Dort sah ich im Fenster einer Buchhandlung eine neue Ausgabe „Gürjistan“ (Georgien) von Ahmet Ozkan alias Melashvili. Das war für mich eine Entdeckung. In diesem Buch sind alle Gebiete von Kunst und Kultur zusammengefasst. Texte von Liedern und Tänzen (georgisch) in türkischer Schrift der

türkischen Georgier aus dem Vilaxet Artwin.

Bei einer kulturellen Veranstaltung in der Türkei lernte ich den sowjetischen Generalkonsul und den Kulturattache kennen. Letzterer war Georgier. Bei einem Besuch im Generalkonsulat schenkte er mir das georgische Nationalepos „Der Held im Tigerfell“, „Arsenas Leksi“ und das Märchen „Amodis Natdeba“ von Wascha Pschawela. Die Schrift mit den wunderbaren Illustrationen faszinierte mich, obwohl ich damals nichts lesen konnte. Bis dahin waren die russischen Schriftsteller Tolstoi, Puschkin und Lermontow die maßgebenden Quellen, die sich mit der kaukasischen Thematik befassten und verbunden mit entsprechenden Illustrationen meine Fantasie anregten.

Im Herbst 1967 trat ich mit der türkischen Schifffahrtlinie eine Reise zur letzten Stadt an der Grenze Hopa am schwarzen Meer an. Die Reise dauerte drei Tage und drei Nächte. An Bord war noch ein junger Deutscher. Unser Schiff ankerte um zwei Uhr früh weit draußen auf offener See. Hopa hatte keinen Anlegehafen. Es war ein romantischer Augenblick. Im einzigen Hotel „Kafkas Oteli“ nahm man uns freundlich auf. Am Nachmittag machte ich bei herrlichem Wetter mit dem Deutschen einen Spaziergang in Richtung Osten, als ein Jeep mit den türkischen Offiziere anhielt, die uns klar machten, dass das Verlassen der Stadt Richtung Sarphi verboten ist. Als sie erfuhren, dass wir Deutsche sind, waren sie gleich freundlicher gestimmt. Sie luden uns für den nächsten Tag nach Sarphi ein. Artwin, Kars und Erzurum waren bis 1965 für Ausländer Sperrgebiet. Am nächsten Tag wurden wir in der Früh abgeholt. Man lud uns auf einem Wachturm ein und wir durften mit dem Fernrohr nach Batumi schauen. Auf der anderen Seite sahen wir die Fischer und Angler am schwarzen Meer. Im Hopa verabschiedeten wir uns und ich setzte meine Reise allein nach Artwin fort. Ich begegnete immer wieder Einwohnern, die mir erzählten sie seien Georgier.

1971 fand zu einem hiesigen jungen Russen eine Reise mit meinem Wagen in die Sowjetunion statt. Eines der Ziele war zum ersten Mal Georgien. Die Reise dauerte über zwei Wochen. Die Eindrücke waren gewaltig, von subtropischen bis in die höchsten Eisregionen. Die Einheit von Architektur und Landschaft. Damals war Tbilissi im Vergleich zu heute noch ziemlich unverbaut, abgesehen von Hotel „Iweria“. Es fuhr noch die Straßenbahn. Die Kunstsammlungen, die Schatzkammer, die Kirchenarchitektur neben Tbilissi, besonderes in Mtscheta, Ananuri, Kasbegi, hinterließen einen gewaltigen Eindruck.

Bis zum Jahr 1979, die entscheidende Fahrt nach Tbilissi für die kommende Dokumentation „Georgische Kulturdenkmäler in der Türkei“ hat sich vieles ereignet. Im Jahr 1977 erwarb ich an der Frankfurter Buchmesse ein Album von Lado Gudiaschwili und begann das georgische Alphabet zu studieren und langsam zu lesen. In München führte mich mein Weg in die georgische Abteilung der Bayerischen Staatsbibliothek. Bücher über Kunst und Architektur vermittelten mir die Adresse

eines Georgiers, bei dem ich Georgisch lernen konnte – Dr. phil. Iliia Kuchukhidze, wohnhaft in Kirchheim bei München. Er erklärte sich gerne bereit mir Georgisch beizubringen und so ließ ich mir aus Zürich die Lernbücher von Kita Tschchenkeli schicken. Dr. Iliia K u t s c h u c h i d s e war Dozent der Universität, freier



Mitarbeiter des Radio „Freies Europa“, literarisch unter dem Namen „Mindia Lachauri“ tätig.

1979 fuhr ich wieder mit meinem Wagen nach Georgien. Ich war zu Besuch in der Union georgischen Künstler und lernte Manaba Magomedowa kennen, den ich bis dahin nur über die ständigen Publikationen in der sowjetischen Zeitschriften, Volkskünstler von Georgien und Dagestan kannte. Seit dieser Zeit verbindet uns eine enge Freundschaft. Außerdem war ich bei Irakli Ochauri.

Im Museum für Kunst in Tbilissi sah ich die Fotos und Modelle von Kirchen und Klöster und erfuhr zum Erstaunen, dass diese sich auf dem Territorium der Türkei befinden - der ehemaligen georgischen Provinz, Tao Klarjeti / Samtsche. „Das muss ich sehen“ - war mein erster Gedanke. So lange war ich in der Türkei und habe davon nichts gewusst.

Nach meiner Rückkehr, begann die Vorbereitung für die Expedition. Ich hatte zur damaligen Zeit keine Unterlagen für dieses Gebiet. Die Türkei hatte kein Interesse an Veröffentlichungen. Schließlich wurde ich in einem Schweizer Reiseführer fündig. Da hieß es: „466 kurvenreiche Landstrassen mit beachtlichen Höhenunterschieden entlang an steilen Abstürzen mit Steinschlag. Zwischen Erzurum und Artwin durchführt man eine spärlich bevölkerte und wenig besuchte Gegend. Kein Hotel, keine Tankstelle, schwierige Besorgung mit Lebensmitteln. In der Zeit zwischen November und Mai ist die Strecke nicht befahrbar. Diese Wegstrecke ermöglicht jedoch den Besuch des Tschoroch-Flußbeckens, einer der interessantesten Gegenden der Türkei an Naturschönheiten und Baudenkmäler aus dem georgischen Mittelalter.“

Im April des Jahres 1980 brach ich mit einem jungen Türken in unserem Wagen von München auf. Zunächst verwandte Reise, immer wieder Polizeikontrollen. Das Land stand unter Anarchie. Weiterfahrt über Tortum die georgische Burgruine Tortumkale, weiter Richtung Artwin, georgische Klosterruinen von Chachuli. Die Hauptkirche, die noch in gutem Zustand war,


wurde als Moschee genutzt. Weiter die größte Kathedrale in dem Gebiet Oschki, dann Ischchani, Otchta Eklesia, Parchali und so weiter. Die nächste Reise unternahm ich allein. Einschließlich 1984 fanden fünf Reisen statt. Dann nochmals 1990/91, 2004 und 2006. Bis 1991 fand ich die Gebiete seit Jahrhunderten unberührt, wie in einem Dornröschenschlaf vor, keine Besucher in den Dörfern, kein Tourismus, kein elektrisches Licht und große Gastfreundschaft. Inzwischen hat sich viel verändert. Ich war damals so begeistert über diese Einmaligkeit, dass ich mich sofort entschloss, das Gesehene in Bildern, Malerei, Grafik und Fotos zu dokumentieren.

Die größte Ausstellungen

Bereits 1981 wurden in München im Haus der Kunst zwei Ölbilder ausgestellt: Oschki und Portakilisse. Frühjahr 1982 zeigte ich die Fotos dem Präsidenten der Union georgischer Künstler, Elgudja Amashukeli, der mit dem anderen anwesenden Künstler davon begeistert war. Sie wollten sofort für den Herbst gleichen Jahres eine Ausstellung in Tbilissi organisieren. Daraus wurde leider nichts. Über die Gründe kann man nur spekulieren, wahrscheinlich stand Moskau dahinter. Jahr um Jahr verstrich. Dafür konnte ich meine Arbeit in der Türkei fortsetzen.

1989 war ich eingeladen von Wachtang Beridse zu einem Symposium über die georgische Kunst. Anfang April bekam ich einen Brief von Temo Gotsadse. Vorgesehene Ausstellungseröffnung meiner Arbeiten war zum 25. April im Haus des Malers angesetzt. Die Zeit war zu knapp. Vier Transportkisten habe ich mit „Lufthansa“ nach Moskau geschickt. Ich selber habe mich für den Weg über Türkei entschieden. Das Visum musste ich noch auf dem sowjetischen Generalkonsulat in München beantragen. Dort war man über die Ablösung Georgiens äußerst aufgebracht. Bei einem privaten Gespräch mit dem Konsul und der Vorlage meines Katalogs „Durch alte russische Städte“, der Publikation meiner Arbeit in „Sowjetskij Sojus“ und „Sowjetunion heute“ gab man mir unter Vorbehalt das begehrte Visum. Am 29. April bin ich in Hopa am späten Nachmittag angekommen. Am nächsten Tag war ich an der Grenze von Sarphi. Ich sah auf der anderen Seite die georgische Flagge von 1918, aber die sowjetischen Grenzorgane wollten mich nicht passieren lassen. Dann gab es ein Telefonat mit Moskau und endlich war ich auf der anderen Seite. Meine Bilder waren aus Moskau noch nicht eingetroffen, die Kisten kamen erst nach zweieinhalb Wochen. Es sollte alles schnell improvisiert werden, denn mein Visum war auf ein Monat begrenzt.

17. Mai 1991, 17 Uhr, Künstlerhaus gegenüber der Regierung: Dutzende Hände mit meinen Katalogen reckten sich mir entgegen und baten um Autogramme und Widmungen. Auch Deutsch-Georgier kamen. Oben wartete schon das Fernsehen. Rosensträuße wurden überreicht. Nächsten Tag kam der Umzug ins Gästehaus des Kulturministeriums



„Musa“ gegenüber der Philharmonie. Am 19. Mai 1991 wurde ich vormittags abgeholt, eventuell wollte mich der Präsident sehen. Wir fuhren mit zwei Staatskarossen und Begleitung über Alawerdi und Telawi Richtung Tuschetien. Viele Menschen erwarteten dort den zukünftigen Präsidenten. Es war unvergesslich: Picknick im Grünen, Volksfest, Reiter im Nationaltracht, Pferderennen, Bogenschießen und Ringkämpfe. Plötzlich stand Zwiad Gamsachurdia neben mir. Ich begrüßte ihn auf Georgisch. Er fragte mich sofort auf



Deutsch. „Wo haben Sie Georgisch gelernt?“. Nachmittags sind wir nach Alawerdi weitergefahren und haben das Museum von Ilia Tschawtschawadse in Tsinandali besucht. Nach meiner Rückkehr im Spätherbst kamen immer mehr beunruhigende Nachrichten aus Georgien. Bürgerkriegsähnliche Zustände, Schießereien, Demonstrationen, die dann in der schockierenden Mitteilung gipfelte: „Das Künstlerhaus steht im Flammen“. „Jetzt ist alles zu Ende!“ - war mein erster Gedanke. Die erste Nachricht kam von einem Malerkollegen aus Bischhofswerda. Awtrandil versicherte mir, dass man meine Bilder in den Transportkisten schnell aus den Flammen heraustragen und anschließend in die Nationalgalerie bringen konnte. Durch die Unruhen, Zerstörungen und den Abchasienkrieg gab es jahrelang keine Einreisemöglichkeit mehr. Am 6. Oktober 1995 und 7. Januar 1996 waren zwei Ausstellungen in der Prähistorischen Staatssammlung München „Unterwegs zum Goldenen Vlies“. Nach Georgien konnte ich erst wieder im Herbst 1996 reisen. Das Ziel war den Rücktransport meiner Bilder zu organisieren und abschließende Gespräche zu führen. Damals musste ich von Wien aus mit einer Tupolev-Maschine fliegen. Die Landung erfolgte nachts. Tbilissi lag fast in Dunkel. Die Landebahn war mit Blaulicht markiert. Ein Angestellter winkte das Flugzeug mit einer Taschenlampe in Position. Es war eine kriegsähnliche Situation. Nach Gesprächen mit dem Direktoren der Nationalgalerie und des Kulturministeriums ging es nicht mehr um einen Rücktransport, sondern das Ministerium organisierte unerwartet eine Ausstellung in Historischen Museum (Karwasla). Die Transportkisten wurden von der Nationalgalerie überstellt: 131 Arbeiten, Malerei und Grafik (Aquarelle und Wachscreide). Zunächst war ich ziemlich ratlos, dann hatte ich aber schon Helfer. Das Glas, die Rahmen, die Werkstätten im Künstlerhaus waren vernichtet. So musste ich improvisieren und alle Grafiken mit Reißzwecken direkt an die Wand heften. Die Ausstellungseröffnung am 26. Oktober war wieder eine große Sache. Geistliche und Seminaristen standen mit brennenden Kerzen und sangen Kirchenlieder. Der Kulturminister hatte große Projekte mit mir vor. Ich erklärte mich bereit, meine Bilder in Georgien zu belassen, wenn im Gegenzug jedes Jahr damit eine Ausstellung veranstaltet wird. Und so kam es auch. Am 19. Juni 1998. war ich zum Patriarchen Ilia II eingeladen. Wir haben über die Möglichkeiten der Publikationen meiner Arbeiten gesprochen. Der Patriarch zeigte mir persönlich die Räumlichkeiten des Patriarchen für eine eventuelle Ausstellung zum orthodoxen Weltkongress. Am 2. Oktober empfing mich mit anderen Preisträgern im Rathaus zur Tbilissoba Staatspräsident Eduard Schewardnadse. Bürgermeister Irakli Zodelawa überreichte mir die Medaille für Loyalität Tbilissi. Nach dem Empfang des Staatspräsidenten habe ich ihm mitgeteilt: „Ich bin bereit mein Gesamtwerk georgischer Thematik, Malerei und Grafik von

zunächst 151 Arbeiten, dem georgischen Volk zu überlassen wenn mir im Gegenzug ein Dokumentationszentrum oder Museum zur Verfügung gestellt wird, in dem meine Bilder ständig ausgestellt werden können“. Daraus hat sich aber damals nichts ergeben.

Was Georgien für Werner Rüdiger bedeutet

In Georgien habe ich mein Ideal gefunden, gleichgültig was im Außenraum geschieht. Von subtropischen Regionen bis in die Höchsten von Schnee und Eis. Eine der vielfältigsten Landschaften mit ihren Kulturen, den Tänzen, den herrlichen



mehrstimmigen Gesänge, die Nationalkostüme, die Vollbräuche, die Weinkultur, das georgische Volk, das schon Artur Leist begeistert hat, ihre Feste, die reiche Küche, das ganze Ritual beim Tisch mit Trinksprüchen, die große Gastfreundschaft, ihre Begeisterung und Spontanität. In Georgien zählt nur das was jetzt geschieht - das ewige Jetzt. Dann sind es natürlich die Künste: die bildende Kunst, die Musik, die Architektur, die Literatur. Das alles zusammen bildet eine Einheit. Die Schrift ist schon Kunst, die Sprache Musik.

Das georgische Volk ist ein sehr emotionelles Volk. In all den Jahreszeiten habe ich viel Wunderschönes in diesem Land gesehen und erlebt. Eines der zentralen Themen ist die georgische Kirchenarchitektur, als wichtiger Akzent in der Landschaft und in der Stadt, in der alle Ideale zu einer Einheit zusammengefasst sind, gleich einem Bergkristall. Die Arbeit geht weiter. Es gibt noch viel zu sehen, noch viel zu tun. Ich und Georgien sind eins. Deutschland ist meine Heimat, aber Georgien mein Schicksal.

vorbereitet von
Tinatín Chitínashvili



გაყ, ხიმუ და ურობუ

(სათაგადასავლო მოთხრობა)

თინა დალაქიშვილი

ავტობუსში ძლივს ავედი. ხალხით იყო გადაჭედული. საშინლად ცხელოდა. აუტანელი ჰაერი იყო. ვცდილობდი ღია ფანჯარასთან დაემდგარიყავი. მაგრამ ვერ მოვახერხე. ჩემს წინ მდგარი ახმახი ზანგი მელობებოდა. გვერდის აქცევა ვცადე, არც ეს გამომივიდა. ფაშფაშა მულატმა ქალმა თვალები დამიბრიალა და მუჯღუგუნე მკრა.

მზე უფრო და უფრო აჭერდა. ოცდაათი, ან შეიძლება ორმოცი წლის წინ გამოშვებულ ავტობუსში არც ერთი სკამი არ იყო დაუზიანებელი. ტყავი, რომელიც ოდესღაც გადაკრული ჰქონდა სკამებს, ძნელად გამოსაცნობი ფერის იყო. ვენტილიაციაზე ლაპარაკი არც ღირდა. სუნთქვის საშუალება არ იყო. უჰაერობისაგან მალე გული წამივიდოდა. ჩანთიდან წყლით სავსე ბოთლი ამოვიღე და მოვსვი. ჩემსკენ მომართული რამდენიმე ხარბი მხერა შევნიშნე. ახმახმა პირი გააწვლაპუნა კიდევ.

— გინდა? — რატომღაც ქართულად შევეკითხე და ბოთლი გავუწოდე. ახმახი თითქოს დაიბნა უცხო ენის გაგონებაზე. მერე მიხვდა, წყალს რომ ვთავაზობდი და ხელი გამომიწოდა. ბოთლი მივაჩეჩე. სწრაფი მოძრაობით გამომართვა, პირზე მოიყუდა და ხმამაღალი ყლუპ-ყლუპით დალია. გარშემო მდგარი ადამიანები ხარბად უცქეროდნენ.

ბავშვის ხმა გაისმა. რაღაც თქვა, ჩემთვის გაუგებარ ენაზე. ახმახი გაჩერდა. კალთაში ჩასმული ბავშვისკენ გაიხედა. ისევ ბოთლს შეხედა მზომავი თვალით, კიდევ ერთხელ მოსვა ხმაურით და მე შემომხედა. მერე მხერა ბავშვისაკენ გადაიტანა. თავი დაუუქნიე. ზანგი ახმახი გაშეშებული იდგა. მე გამოვართვი ბოთლი და ბავშვს მივაწოდე. დედამ, ვის კალთაშიც იჯდა ბავშვი, სახურავი მოხსნა, ბოთლის ყელი გულდასმით გაწმინდა.

ბავშვი მოუთმენლობისაგან აცმუკდა. პატარა წყალს ხარბად დაეწაფა. სამი წლის იქნებოდა. გოგონას კუპრით შავი ჩაკუწკუწებული თმები ჰქონდა. კანი, დედასავით, ყავისფრად უბზინაუდა.

ბავშვმა ბოლომდე დალია წყალი, რადგან ბევრი არ იყო დარჩენილი. ახმახმა თითქმის მთლიანად გამოცალა. ავტობუსმა დაამუხრუჭა. წონასწორობა დაკარგე და ახმახს მივასკდი. მან ცალი ხელით დამიჭირა, მეორეთი სახელურს ჩასჭიდებოდა.

ხალხი აყაყანდა. მძლოლი თავს იმართლებდა,

ცალ ხელს შლიდა, ლაპარაკში იშველიებდა, მეორეთი საჭეს ჩაჰფრენოდა. ფაშფაშა მულატი ქალი ხმამაღლა ყვიროდა და გაჭრილ ხელს აჩვენებდა ახლომდგომებს.

ძველი ავტობუსის დამტვერეული სკამის რკინის რიდეს გაჰკრა, ალბათ, ხელი და დაიზიანა. საკმაოდ ღრმა ჭრილობა იყო. სისხლი ბლომად მოსდიოდა.

ჩანთა გავხსენი, იოდი და სტერილური ბინტი ამოვიღე. მულატ ქალს ფრანგულ ენაზე შევთავაზე დახმარება. მან ეჭვის თვალით ამათვალიერ-ჩამათვალიერა. შემდეგ ჩემს ხელს შეხედა, რომელშიც იოდი და ბინტი მეჭირა.

— ექიმი ვარ, დაგეხმარები, — კიდევ ერთხელ გავუთქორე ფრანგულად.

ორიოდე წუთის ყოყმანის მერე დაშავებული ხელი გამომიწოდა. მხარზე გადაკიდებული ჩანთა ხელს მიშლიდა. ახმახს მივაწოდე დასაჭერად. მან გამომართვა და მხარზე გადაიკიდა. ზურგით სკამის სახურავის გვერდს მივეყრდენი და ბინტს ქალაღლი მოვაცილე. ჯერ პატარა ნაჭერი მოვახიე, იოდით დავასველე და ჭრილობა კარგად მოვუსუფთავე მულატს, მერე ბინტით გადავუხვიე ხელი.

მულატმა ქალმა ყურადღებით დაათვალიერა ჩემი “ნამუშევარი” და მხოლოდ ამის შემდეგ წაიზმუვლა ჩემთვის უცნობი სიტყვა. მივხვდი, მაღლობა გადამინდა.

ავტობუსი კი მიდიოდა და მიდიოდა ოღრო-ჩოღრო გზებზე და მაღიმაღ ორმოში ჩარტყმისას მგზავრებს შეგაკუნტრუშებდა. სიცხე უფრო მატულობდა. წვიმას ან ქარს ვნატრობდი.

ნატვრამ არ დაახანა და მართლაც ქარი ამოვარდა. ეს უფრო საშინელება იყო, ვიდრე სიცხე. გზებიდან ახვეტილი ქვიშა ღია ფანჯრებიდან შემოგვაყარა. მგზავრებმა სასწრაფოდ დახურეს ფანჯრები. ჰაერი დაიხუთა, ოფლის, იაფფასიანი ოდეკოლონების და პარფიუმერიის სუნი იდგა. ცოტაც და გონებას დაკარგავდი.

უცებ მანქანის სიგნალის ხმა გაისმა. ჯიპი მერსედესს წინ გადაუდგა და გააჩერებინა. მანქანიდან მაიკლი გადმოვიდა. მისი დანახვა ძალიან გამიხარდა: ეს ნიშნავდა, რომ ამ საშინელი ტრანსპორტიდან სუფთა და კომფორტულ მანქანაში გადავბარდებოდი. ძლივს წავიწიე კარისაკენ.

უკნიდან ძახილის ხმა შემომესმა. მივიხედე. ბავშვიანი ქალი ცარიელ ბოთლს მაწვდიდა. მე ხელი უარის ნიშნად გაუქნიე და ავტობუსიდან ჩამოვედი.

ორი წუთის შემდეგ კონდიციონერით გაგრილებულ მანქანაში ვიჯექი და მაიკლს ვესაუბრებოდი.

* * *

— რატომ არ მოიცადეთ ცოტა? ხომ ვითხარი, რომ აუცილებლად მოვიდოდი. მობილურიც გამორთული გქონდა და ვერაფრით გაგაგებინე, რომ ცოტა დამაგვიანდებოდა.

— ჰო, გათიშული იყო, ვერსად ვერ მოვახერხე მობილურის დატენვა. ექსპედიციის სხვა წევრები უკვე ადგილზე იქნებიან, არა?

— კი, ისინი სამი დღეა, რაც დაბანაკდნენ.

— პირველად ხართ ნამიბიაში?

— ნამიბიაში პირველად, მაგრამ აფრიკაში მეექვსედ ვარ.

— დიდი პრაქტიკა გქონიათ.

— ასე გამოდის, — გაუღიმიე.

— მედიკამენტები უკვე მიიღეს, ლანსმა დამირეკა.

— ექსპედიციაში სულ რვა ვართ, ხომ? როგორც მე ვიცი, ასე გადაწყდა.

— არა, შეიძინი. დაიანას რაღაც პრობლემები შეხვდა, ვეღარ წამოვიდა. მე, თქვენ, ლუიჯი ფალკონი იტალიიდან, მარენმარ კიედისი ლიტვიდან, სანდრა სარასა ესპანეთიდან, ჰანს ლანსი გერმანიიდან, ტატიანა ლედაკოვა რუსეთიდან. აქ, ნამიბიაში, ახლა მძიმე პერიოდაა, განსაკუთრებით მალარიის შემოტევა გაძლიერდა. დიდიდან გვიან ღამემდე მოგვიწვეს მუშაობა. შეიძლება, ღამითაც, ვიმორიგეოთ.

— მე მზად ვარ.

— თქვენი სახელის დამახსოვრება გამიჭირდა. შემახსენეთ კიდევ ერთხელ, თუ შეიძლება.

— მანანა.

— დიახ, დიახ, მანანა... გამახსენდა.

— თქვენ სად ცხოვრობთ?

— ლოს-ანჯელესში.

— როგორი გვალვებია. სამი თვეა არ უწვიმია. გადამშრალია აქაურობა. უდაბნო კალაჰარის აქაური მაცხოვრებლები კალაჰარის ანუ “ველურ ადგილს” უწოდებენ. აქ ნიგერიის იმ მხარეს მოგვიწვეს მუშაობა, სადაც გაბნეულ სოფლებში ძირითადად ბუმშენები ცხოვრობენ.

— ორი თვის განმავლობაში აუტანელი პირობების გაძლება მოგვიწვეს.

— დიახ, მაგრამ ევზოტიკური გარემო ჩემი სტიქიაა. მე ნაკლებად მაწუხებს მინიმალური პირობების უქონლობა. შევეჩვიე, ალბათ. უკვე თექვსმეტი წელია, რაც ასეთ ექსპედიციებში მიწვეს მონაწილეობის მიღება.

მდინარე მალოპოს ამომშრალი კალაპოტი

გამოჩნდა.

— აქ წყალი მოედინება მხოლოდ იმ პერიოდში, როდესაც ხშირი და წყალუხვი წვიმებია. ეს კი შეიძლება სამ-ოთხ წელიწადში ერთხელ მოხდეს. საოცარი ხალხია ბუმშენები. გასაკვირია, როგორ არსებობენ ასეთ სიციხეში და უწყლობაში. წყლის დანაკლისი რომ შეივსონ, დღეში სამ კილოგრამამდე ნესვს მიირთმევენ. ამომშრალ კალაპოტში თხრიან ორმოებს და წვეთწვეთობით, სირაქლემას კვერცხის ნაჭუჭში აგროვებენ წყალს. საშინელი გვალვების დროს, როდესაც ტემპერატურა 50 გრადუსზე ზევით აღის, აღარც ნესვია და ორმოებიდანაც ქრება წყალი, მაშინ ანტილოპას კუჭიდან ახერხებენ წყლის მოპოვებას.

— საინტერესო ხალხია.

— ალბათ, თქვენც იცით, რომ აქ, დაახლოებით 500 000 წლის წინათ ცივილიზაცია არსებობდა. ახლაც კი ვერ ამოუხსნიათ მეცნიერებს მათი ბევრი მონაპოვარი.

— მაიკლ, რამდენ ხანში ვიქნებით სოფელში?

— ათიოდ წუთში.

— მედიკამენტები ადგილზეა?

— გუშინ ვერტმფრენით მოგვაწოდეს. მალარიის საწინააღმდეგო აცრა ჩატარებული გექნებათ, არა?

— რა თქმა უნდა, — ვუპასუხე, — ერთი კვირით ადრე აქ გამოფრენამდე შვიდი დღის განმავლობაში ლარიამის ტაბლეტებიც დავლიე.

— ჰო, ეს აუცილებელია. თუმცა რას დაგვალეთ ამდენი კითხვებით. ჩვენი ორგანიზაციის ინსტრუქციაში დაწვრილებით წერია, რა გვევალება და სიფრთხილის რა ზომები უნდა მივიღოთ.

— მივედით! — წამოვიძახე.

კანტიკუნტად ამოსულ ჯუჯა ხეებით და ბუჩქებით მოშირმულ ოქროსფერქვიშიან უდაბნოს პორიზონტზე ჩაღისფერი ქოხები გამოჩნდა. აქა-იქ ბუმშენები მოჩანდნენ. რაღაც საქმით იყვნენ დაკავებული.

სიღრმეში სანდრა და ლუიჯი გამოჩნდნენ ლურჯი ჩაღის ქულებით. ისინი ხელს გვიქნევდნენ.

რამდენიმე წუთიც და ჩვენ უკვე მათთან ვიყავით. მაიკლმა გაგვაცნო ერთმანეთი. ხელი ჩამოვართვით. ქერთომიანი სანდრა კითხვებს კითხვებზე გვაყრიდა. მაიკლმა გააწყვეტინა საუბარი.

— ჯერ ნება მოგვეცით დაგვინავდეთ, შეკითხვები მერე.

— აქეთ წამოდით, ჩვენი ამბულატორია კარავშია.

საცხოვრებელი კარები ცოტა მოშორებითაა. თქვენ, მანანა, ტატიანა ლედაკოვასთან ერთად იცხოვრებთ,

— თქვა ლუიჯიმ.

— დანარჩენები ამბულატორიაში იქნებიან, არა?

— შევეითხა მაიკლი.

— დიახ, წამოდით, სანდრა გაჩვენებთ. ბარგი მე

მომეცით, თქვენს კარავში შევიტან, — მანქანასთან მივიდა და საბარგული ახადა, სამი დიდი გორგოლაჭებიანი ჩანთა ამოიღო და საცხოვრებელი კარავებისაკენ გააგორა.

— აქეთ, ამ ქოხების ბოლოსაა ჩვენი ამბულატორია.

— ავადმყოფთა რაოდენობა მაინტერესებს, — შეეკითხა მაიკლი.

— სავალალო მდგომარეობაა. სოფლის მოსახლეობა 106 ადამიანს შეადგენს. აქედან მალარიით დაავადებული 46-ია, თითქმის ნახევარი. რაოდენობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მათი ცალკე მოთავსება შეუძლებელია. ამიტომ თავიანთ ქოხებში არიან. დაუსნებოვანებელ ოჯახის წევრებს მალარიის საწინააღმდეგო ინექციას ვუკეთებთ, ავადმყოფებს მკურნალობის კურსს ვუტარებთ.

— მართლაც სავალალო მდგომარეობა, — თავი გადააქნია მაიკლმა, — ჩვენი ორგანიზაციის მიერ ჩატარებული გამოკვლევის სტატისტიკის თანახმად, სხვა დასახლებულ პუნქტებშიც მეტ-ნაკლებად ასეთივე მდგომარეობაა. ნიგერიაში სამი ჯგუფია გამოგზავნილი. ალბათ, დამატებით სხვა ჯგუფების გამოშვებაც გახდება საჭირო.

ამბულატორიას მიუახლოვდით. დანრჩენებიც გამოვიდნენ ჩვენს შესახვედრად: ტატიანა, ჰანსი, მარენმარი. გვეცნეთ ერთმანეთს, მერე იქვე მოწყობილ პირსაბანთან ხელები კარგად დავიბანეთ, გავსუფთავდით. ვცდილობდით, რაც შეიძლება ეკონომიურად გვეხმარა წყალი, რომელიც ძალიან ძვირფასი იყო. ცისტერნებით გვაწოდებდნენ ვერტმფრენით. ერთ-ერთი პუნქტი, რაც ჩვენს მოვალეობაში შედიოდა, ეს იყო წყლის ეკონომიურად ხარჯვა.

* * *

ამბულატორიაში მხოლოდ მძიმე ავადმყოფები იყვნენ მოთავსებულნი, ისინი დღედაღამე ყურადღებას საჭიროებდნენ. აქ რვა მამაკაცი და სამი ქალი იმყოფებოდა.

მე და მაიკლმა გამოვიკითხეთ ავადმყოფთა მდგომარეობა. თითქმის ყველას ჰქონდა დიდი სიცხე, თავის ტკივილები და პირღებინება.

ასეთ უწყლობის პირობებში ძალიან ჭირდა ელემენტარული სისუფთავის დაცვა. აქ ექიმებს ჯოჯოხეთური შრომა უწევდათ.

— ეს ქალი ძალიან გვეხმარება. ლაკა ჰქვია. ჩვენი სანიტარია, — დაბალ ბუმბენ ქალზე მიგვანიშნა, რომელიც ერთ-ერთ ავადმყოფს მოსვრილ ზეწარს უცვლიდა, — მართო ეს დაგვიახლოვდა. სხვები არ გვეკარებინან. ნეტავ გენახათ რა ძალისხმევა დაგვჭირდა, რომ ესენი, — ავადმყოფებზე გვანიშნა თვალთ ტატიანამ, — აქ გადმოგვეყვანა.

უცებ ქვითინის თუ ყვირილის ხმა შემოგვესმა.

ამ დროს ლუიჯიც შემოვიდა კარავში და მაიკლს უთხრა:

— ახალგაზრდა ბუმბენის დედაა. მისი ვაჟი ავდა. სამი დღეა ვებეწებით, მოეცა შვილის აქ გადმოყვანის უფლება, მაგრამ ამოდ. თავიანთ ქურუმს უძახდა მხოლოდ, რაღაც ლოცვებს ბუტბუტებდა, ავადმყოფის გარშემო ცეცხლს ანთებდნენ, ვითომ ავსულებს სდევნიდნენ. ახლა ვაჟი უგონოდ გამხდარა. დედამ სხვა გამოსავალი ვეღარ დაინახა და აქ მოვიდა. გებეწებათ, უშველოთ მის შვილს.

მაიკლი მე მომიბრუნდა:

— მანანა, ჩანთა აიღე და წავედით. ლუიჯი, შენც გვეჭირდება, უნდა გვითარგმნო.

სწრაფად გავედით კარვიდან. საწყალი ქალი მიწაზე გორაობდა, მიწას ფხოტნიდა და თავზე იყრიდა.

— ლაკაც წამოვიყვანოთ, ძალიან გვეხმარება ხოლმე. თავისიანს უფრო უჯერებენ, ვიდრე ჩვენ, — გვირჩია ლუიჯიმ.

— კარგი, ახლა უთხარი ამ ქალს, რომ წაგვიყვანოს თავის ქოხში.

ლუიჯი ქალს მიუახლოვდა და უთარგმნა მაიკლის ნათქვამი. ქალმა ტირილი შეწყვიტა, წამოდგა და მაიკლს მიუახლოვდა.

— თუთრო აჩრდილო, ხომ არ მომატყუებ, მომიჩვენე ჩემს შვილს?

ლუიჯიმ უთარგმნა სიტყვასიტყვით და აუხსნა, რომ აქაური მაცხოვრებლები თუთრკანიან ადამიანებს აჩრდილებად თვლიან.

— ნუ გეშინია, ყველაფერს ვიღონებთ, რომ შენი შვილი კარგად გახდეს.

ლუიჯიმ მაიკლის სიტყვები აუწყა გამწარებულ ქალს. მერე ლაკას გასძახა და უთხრა, რომ მათ წაჰყვოდა.

ათიოდე წუთის შემდეგ მივადექით ქოხს, სადაც მძიმე ავადმყოფი იწვა. მე პულსი გავუსინჯე. ძალიან გახურებული იყო ავადმყოფი, დიდი სიცხე ჰქონდა.

ლაკას ვთხოვეთ ყველა გავეყვანათ ქოხიდან, რადგან სამედიცინო ინსტრუმენტების დანახვაზე შეიძლება შეშინებოდით და უარი ეთქვათ ავადმყოფის მკურნალობაზე.

ლაკა მოხერხებული აღმოჩნდა. დედის ცივი უარის მიუხედავად, არ გასჭირვებია დაერწმუნებინა ქალი, რომ უმჯობესი იქნებოდა ქოხიდან გასულიყვენ.

სიცხე გავუსინჯე, თერმომეტრი ორმოცს და რვა ხაზს უჩვენებდა. მისი მდგომარეობა მძიმე იყო. მაიკლმა ლაკას დაუძახა და სთხოვა დედისათვის აეხსნა, რომ საჭირო იყო ჭაბუკის ამბულატორიაში გადაყვანა. მშობელი ცივ უარზე იყო. ლაკამაც კი ვერ შეძლო დაეთანხმებინა ქალი.

მაიკლმა გააფრთხილა ბუმბენი ქალი, რომ თუ არ დათანხმდებოდა, შვილი მოუკვდებოდა.

დედამ მაინც მტკიცე უარი უთხრა.

— სულ ასკეს ბრაღია, — უთხრა ლუიჯის ლაკამ, — იგი არ აძლევს უფლებას იქ გადმოიყვანოს შვილი, აშინებს, გაუ, ხიშე და ერობე განრისხდებიანო.

ლუიჯიმ უთარგმნა მაიკლს: ქურუმი ღმერთებით აშინებს, გაგებრაზდებიანო და საწყალ ქალს ვერ გაუბედავს მის წინააღმდეგ წასვლა.

ბეგრს ვეცადეთ, მაგრამ ქალი ვერ დავარწმუნეთ, რომ ავადმყოფი დედელამე ყურადღებას და მკურნალობას საჭიროებდა და ამისათვის საჭირო იყო ამბულატორიაში გადაყვანა.

ერთმა აზრმა გამიელვა.

— მაიკლ, მე დავრჩები აქ. რაც საჭიროა, ყველაფერს წამოვიღებ. თუ რაიმე კიდევ დამატებით დამჭირდება, რაცინთ შეგეხმებიანებით.

— რას ამბობ, ამათი ნდობა არ შეიძლება. ისინი ისე ვერ აღვიქვამენ ჩვენს მოქმედებას, როგორც საჭიროა. შეიძლება, ნემსის გაკეთების დანახვაზე შეშინდნენ და მაშინ კაცმა არ იცის, რას იზამენ. ამიტომ აქ დარჩენა საშიშია.

— სხვა გამოსავალი არ გვაქვს, — ვუთხარი მაიკლს, — მართლა, ლაკა რომ დავტოვო ჩემთან, ახლობლები კი დავითანხმობ, რომ ეზოში ან სხვა ქოხში დაიდონ დროებით ბინა.

მაიკლმა თავი გადააქნია.

— ეს უკვე შენი გადასაწყვეტია.

— თუ მშობლები სხვაგან გადასვლაზე დავითანხმებ, მე დავრჩები ავადმყოფთან.

ლუიჯიმ ლაკას აუხსნა ჩემი მოსაზრება. ლაკა ვაჟის დედასთან მივიდა. დიდხანს ელაპარაკებოდა ხელებით, რაღაცას უმტკიცებდა. ბოლოს შეგებით ამოისუნთქა და ჩვენსკენ წამოვიდა.

— თანახმაა იმ შემთხვევაში, თუ მე სულ აქ ვიქნები, და ექიმს გალისთან მარტო არ დავტოვებ.

მაიკლმა შემომხედა.

— გადაწყვიტე?

— რა თქმა უნდა, — ვუპასუხე, — ლუიჯი, ერთი თხოვნა მექნება, ჩემი ლურჯი ჩანთა მომიტანეთ. მაიკლ, თქვენ კი საჭირო მედიკამენტები ჩააწყეთ და ისიც გამოათანეთ.

ლაკას ხელი დაუქნიე, რომ ჩემთან მოსულიყო. ორივე ავადმყოფთან შევედით. ქოხში ფრინველების ჭრელი ფრთების აცემები იყო ჩამოკიდული. კედლებთან რაღაც მბუჭუტავი მუგუზლები ეწყო, რომლებიც ბოლაუდნენ და საშინელ სუნს აყენებდნენ.

ლაკას ვთხოვე ეს ყველაფერი მოეშორებინა. მან პასუხად ხელები გაასავსავა და სახელი ასკე ახსენა. მივხვდი, ქურუმის ეშინოდა. გადაწყვიტე ბუმბულები დამეტოვებინა, რომ ავადმყოფის ახლობლები არ განშერისხებინა. მაგრამ მბუჭუტავ მუგუზლებს ვერ დავტოვებდი, რადგან ავადმყოფს სუფთა ჰაერი ესაჭიროებოდა.

ლაკა ერთობ მოხერხებული აღმოჩნდა. ძალიან მეხმარებოდა. მართალია, მუნჯურად, ხელებით ვლაპარაკობდით, მაგრამ ყველაფერს ვაგებინებდი.

მისი გული მას შემდეგ მოვიგე, რაც სარკე და მძივი ვაჩუქე. სიხარულისგან არ იცოდა, რა ექნა. მუდამ იმის ცდაში იყო, რითიმე ესამოვნებინა ჩემთვის.

სამი დღე ავადმყოფი კრიტიკულ მდგომარეობაში იყო. გონზე ვერ მოდიოდა. მაიკლი, ლუიჯი და ტატიანა ხშირად მაკითხავდნენ.

დედა და მამა ქოხის სიახლოვეს იყვნენ მუდამ. აქაურობას არ შორდებოდნენ. დანარჩენ შვილებს სიახლოვეს არ უშვებდნენ, რომ ხმაურით ავადმყოფი არ შეწუხებულიყო.

ერთ დღეს მათი ქურუმი, ბებერი ასკე მოვარდა და დიდხანს ეჩხუბებოდა ავადმყოფის დედ-მამას. განრისხებული თვალებს აკვესებდა და ხმამაღლა ყვიროდა. მამა შეშინებული ჩანდა.

ასკემ ქოხში შემოსვლა დააპირა. ალბათ, ჩემი გაგდება უნდოდა, მაგრამ დედა გადაუდგა წინ და არ გამოატარა ქურუმი. გააუბულმა ბებერმა ხელი ჰკრა ქალს. ეს კი ვეღარ აიტანა ქმარმა და ქურუმს ისიც შეწინააღმდეგა.

ქურუმმა მხარზე გადაკიდებული შავი ჩანთიდან რაღაც თეთრი ფხვნილი ამოიღო და მიწაზე მიმობნევა დაიწყო. ბუმბენი ქალი ამის დანახვაზე სულ გადაირია, მივარდა ქურუმს და ხელი ჰკრა. ბებერი წავიდა ყვირილით, თან წამდაუწუმ ცოლ-ქმრისკენ იხედებოდა.

* * *

სამი დღე და დამე ვებრძოდით სიკვდილს. ბოლოს ისევ ჯანმრთელმა ახალგაზრდა სხეულმა გაიმარჯვა.

მეოთხე დღეს სიცხემ საგრძნობლად დაუიწია. ავადმყოფმა თვალებიც გაახილა. ძალიან მიხაროდა, რომ გავიმარჯვეთ, სიკვდილს ხელიდან გამოვაცალეთ ჭბუკი. ლაკას ვუთხარი, მშობლებისთვის დაეძახა და შვილი ეჩვენებინა.

ლაკამ არ დაახანა და გახარებული გარეთ, დასაძახებლად გავარდა.

ამ ამბის მერე, რამდენი დროც არ უნდა გავიდეს, არ დამავიწყდება დედის სახე, როდესაც თავისი შვილი გონს მოსული დაინახა.

შვილს მიუახლოვდა, დაიხოქა. მერე სახეზე მოეფერა, ოფლიანი შუბლი ხელით მოუმშრალა. როგორი სინაზე და სიხარული იდგა მის თვალებში. მამა შემოსასვლელთან იდგა და ცრემლები ჩამოსდიოდა. მერე ორივემ ერთმანეთს გადახედეს, მომიახლოვდნენ და მუხლებზე დაეცნენ.

ლაკას ვუთხარი, ეთქვა მათთვის, რომ მათი შვილი მალე კარგად იქნება და ისევ სანადიროდ ივლის. მერე ვთხოვე ოთახი დაეტოვებინათ, რადგან

ავადმყოფს სიმშვიდე სჭირდებოდა.

ლაკამ გადაუთარგმნა. მშობლები უსიტყვოდ დაემორჩილნენ ჩემს თხოვნას და ქოხიდან გავიდნენ.

ერთ დღეს ლაკა მოვიდა და მუნჯურად დამიწყო ახსნა, რომ ვაჟის, გალის ნახვა დკას უნდა და მოშორებით ჯუჯა ხესთან მდგარი ბუშმენი გოგონა დამანახვა.

მე უარი ვუთხარი. ცოტა ხნის შემდეგ-მეთქი. ჩემი ნათქვამი გოგონას გადასცა. დავინახე, როგორ მოექუფრა დკას სახე და მრისხანე მზერა მესროლა.

ლაკა რაღაცას უხსნიდა, დკა კი გაბრაზებული ხმით ედავებოდა. ლაკამ ერთი მაგრად დაუყვირა და თავი დაანება.

— რა უნდოდა? — ხელით დკაზე მიუუთითე.

— შენი ეშინია. თეთრი აჩრდილი გალის სახე გახდებო.

ვერაფერი ვერ გავიგე. ხელი ჩავიქნიე. ვიფიქრე, მერე ლუიჯის გადავთარგმნინებ-მეთქი. მალე გადამაწიწყდა კიდევ.

ამამბის შემდეგ კორი დღე იყო გასული. გალის წვეწვს ვასმევდი. უკვე წამოჯდომაც შეძლო, მომჯობინდა. რაღაც მითხრა და გამიღიმა. ვერ გავიგე. ლაკას დასაძახებლად გამოვედი. აქვე, ახლომანლო უნდა ყოფილიყო. ის იყო ქოხიდან ფეხი გადმოვდგი, რომ მადლიდან ჩემს მარჯვნივ დიდი გველი ჩამოვარდა. მე შიშისაგან გაუშედი, ვეღარ ვინძრეოდი.

უცებ საიდანღაც გალის მამა გაჩნდა და გველს ჩაავლო ხელი. მე ძალაგამოცლილი კედელს მივყვუდი. გველს იქვე დაგდებული ჯოხით გაუთეთქვა თავი.

ამ დროს ლაკაც მოვიდა. გალის მამას რაღაც შეეკითხა. მან პასუხი ვერ გასცა. გალის დედაც გამოჩნდა. მან გველი დაანაწევრა. ეტყობა, შეჭმას უპირებდნენ. გემრიელი სადილის მოლოდინში გალის მამა პირს აწკლაპუნებდა.

მე ქოხში შევედი. ამაზრზენი შესახელი იყო დანაწევრებული სისხლიანი გველი. ხიფათით საუსეა აქაური ბუნება. კალაპარის უდაბნო საუსეა შხამიანი მწერებით, ქვეწარმავლებით თუ მცენარეებით. აქ ყოველ ნაბიჯზე საშიშროებაა ჩასაფრებული.

* * *

გალი უკვე მომჯობინდა. თავისი ხელით დაიწყო ჭამა. მე მისი ქოხიდან ტატიანასთან კარავში გადმოვედი. დღეში ორჯერ ვაკითხავდი. მის გარდა ბევრ ავადმყოფთან მიხდებოდა სიარული. ღამით ამბულატორიაში მორიგეობით ვრჩებოდით.

გალის დედ-მამა თვალეზში შემომციცინებდნენ. ერთხელ, ერთ-ერთი ვიზიტისას მათ ნანადირევი, მსუქანი ვირთხა მომართვეს. ღამის გული შემიწუნდა დანახვაზე, მაგრამ არ ვაგრძობინე და გამოვართვი. ცელოფანში ჩავდე და მერე კარგა ხანს სპირტში დასველებული ბამბით ვიწმენდდი ხელებს.

ამბულატორიაში დაბრუნებისას ლაკას ვაჩუქე. ჩვენი ბუშმენი სანიტარი სიხარულისგან ღამის გადაირია. პირი გააწკლაპუნა და თავი აქეთ-იქით გადააქნია, აქაოდა, ვითომ რა გემრიელიაო.

დაძაბული სამუშაო გრაფიკი გვექონდა, აუტანელ პირობებში ვიმყოფებოდით. თუ არ ვმორიგეობდით, დამე მაინც ვერ ვიძინებდით ნორმალურად. აუტანელი სიცხე იყო.

ძალიან გადაღლილებიც ვიყავით. ღანსს სეირნობის დროს შხამიანმა ობობამ უკბინა. მართალია, აცრა ჩატარებული ჰქონდა და თითქოს საშიშვაც არაფერი იყო, მაგრამ, მოწამვლის ფონზე ალერგია განუვითარდა. საშინელი გამონაყარი მისცა და დასივდა. დროებით მუშაობას გამოეთიშა და მასზე დაკისრებული სამუშაოც ჩვენ დაგვაწვა მხრებზე. დავრბოდით სოფლიდან სოფელში, აცრებს ვუკეთებდით ავადმყოფებს, მუდმივ კონტროლში გვეყავდნენ. მაგრამ ავადმყოფობის ლოკალიზაცია შეუძლებელი იყო, რადგან დაავადების გადამტანები აქ მომრავლებული კოლოები იყვნენ. საჭირო იყო საყოველთაო ვაქცინაცია, რაც ძალიან დიდი თანხებს მოითხოვდა და ამის შესაძლებლობა ჩვენს ორგანიზაციას ვერ არ გააჩნდა. ამიტომ, შეძლებისდაგვარად, ყველაფერს ვაკეთებდით იმისათვის, რათა რაც შეიძლება მეტი ადამიანის სიცოცხლე გადაგვეჩინა.

* * *

მე დღეში ოცი-ოცდახუთჯერ მაინც მიხდებოდა ავადმყოფებთან გასვლა. არა მარტო იმ სოფელში, სადაც ამბულატორია გვექონდა, არამედ ახლოვლ დასახლებულ პუნქტებშიც.

რაც გალი გამოჯანმრთელდა, მას მერე თავს არ მანებებდა, სულ თან დამყვებოდა აჩრდილივით. თავიდან მეჩამუშებოდა მისი ასეთი საქციელი, მერე მივეჩვიე.

ერთხელ ავადმყოფის ქოხიდან გამოსვლისას დავინახე, როგორ უღერებდა ლაკა დკას მუშტებს. როდესაც შევეკითხე, თუ რას ერჩოდა გოგონას, თავი დაღუნდა და უხმოდ გამცილდა. საერთოდ, ძალიან ბევრი ამოუცნობი რამ ხდებოდა, რადგან ბუშმენებს სხვა ყოფა, სხვა წესები და სხვა ხედვა გააჩნდათ. ისინი ბევრ რამეს სულ სხვა კუთხით უყურებდნენ ჩვენგან, თეთრკანიანებისაგან განსხვავებით. მათთან ურთიერთობა ძალიან ძნელი იყო. ეჭვის თვალით გვაკვირდებოდნენ და ჩვენთან სიახლოვეს ვერ ბედავდნენ.

ყველანაირად ვცდილობდი შემეყვარებინა თავი. ასე უფრო ადვილი იქნებოდა დამერწმუნებინა ისინი მკურნალობის შედეგიანობაში. ამაში ხელს გვიშლიდნენ ქურუმები.

ქურუმები არწმუნებდნენ, რომ ჩვენ, თეთრი ადამიანები, ვიყავით თეთრი აჩრდილები, რომლებსაც

ბოროტების მოტანა უნდოდით მათი ხალხისათვის. ძნელი იყო ყოველი ბუშმენის დარწმუნება, რომ ჩვენ მათი შველა, განკურნება გვსურდა. თავდაპირველად, ასეთი წინააღმდეგობის გამო ბევრი ბუშმენი დაიღუპა, ხოლო ამბულატორიაში მოთავსებული რამდენიმე ბუშმენის და გალის გამოჯანმრთელების შემდეგ, ქურუმის სიწრფელეში ეჭვი შეეპარათ.

ახლა დიდი ძალისხმევა აღარ გვჭირდებოდა, რომ სახლებში შევეშვიტ. იყო შემთხვევები, როდესაც თვითონვე მოდიოდნენ ამბულატორიაში და ჩვენ ვეხმარებოდით მათ.

* * *

ლაკამ ლუიჯისთან ერთად დამინახა, მოვიდა და თვალეში შემომხედა. ვატყობდი, რაღაცის თქმა უნდოდა.

— რა გინდა, ლაკა? — შევეკითხე მათ ენაზე, ცოტ-ცოტა ვისწავლე ამ ერთი თვის განმავლობაში.

ლაკამ შუბლს ქვევიდან ამომხედა და თქვა:

— დკამ ასკესთან ღმერთების სახლში მოუხშირა სიარულს.

ვერ გავიგე და გადათარგმნის მოლოდინში ლუიჯის შევხედე. ლუიჯიმ იმის მაგივრად, რომ ეთარგმნა, ლაკას რაღაც შეეკითხა. ლაკამ ჩქარ-ჩქარა რაღაც მიაყარა და გაიქცა.

— რა უნდოდა? — შევეკითხე ლუიჯის.

— სიმართლე გითხრა, ვერ მივხვდი, რაში გვინტერესებს ვიღაც დკამ ასკეს ღმერთების სახლში რატომ მოუხშირა სიარულს, — ჩაიცინა ლუიჯიმ, — ცოტა უცნაურები არიან...

— ჰო, ასეა, ესენი სხვაგვარად უყურებენ ყველაფერს, ჩვენთვის კი ძნელია მათი აზრების გამოცნობა. წავედი ახლა ერთ ავადმყოფთან, შვიდი წლის გოგონას დაავადება მამისაგან გადაეღო. ისეთი საყვარელი ბავშვია, ბუნჩულა... იქნებ აქ გადმოვიყვანო, ამბულატორიაში.

* * *

ერთ დილას გალი მოვიდა ჩემთან.

— ლუიჯი, — მითხრა მან და თვალეების აქეთ-იქით ცეცება დაიწყო.

— ლუიჯის ნახვა გინდა?

გალი თავის ქნევას მოყვა:

— ლუიჯი, ლუიჯი.

— მალე მოვა, აქ არის სადღაც, — ხელი დასახლებიდან გავიშვარე.

დამთავრებული არ მქონდა, რომ ბილიკზე ლუიჯი გამოჩნდა.

გალი მისკენ სირბილით წავიდა, ხელი ჩაჰკიდა გაოცებულ ლუიჯი ფალკონის და ჩემთან მოიყვანა.

— უთხარით მანანას, რომ აქედან რაც შეიძლება მალე წავიდეს, — უთხრა გალიმ ლუიჯის.

ლუიჯის კეთილად გაეღიმა და ისე, რომ ჩემთვის

არც გადაუთარგმნია გალის ნათქვამი, რაღაც შეეკითხა. გალიმ სწრაფად დააყარა სათქმელი შემოთვალისწინებული სახით, თან ხელეებს იშველიებდა ლაპარაკში.

— რა სჭირს, ვინმე ხომ არაა ავად, — შევეკითხე.

— არა, — ჩაიცინა ლუიჯიმ.

ფალკონეს ჩაიცინებაზე გალა გაბრაზდა, უფრო დარწმუნებით დაუწყო რაღაცის მტკიცება.

— ჰო, კარგი, — უთხრა და მე მომიტრიალდა, — ეს ყმაწვილი მეუბნება, რომ შენ აქედან უნდა წახვიდე.

ცოტა არ იყოს გამიკვირდა. ვიცოდი, რომ გალი ძალიან კარგად მეპყრობოდა.

— რატომ? — მოუთმენლობა შეპყრობილი შევეკითხე ლუიჯის.

— ასე მეუბნება, რომ დკამ ასკეს დახმარებით გაუს, ხიმეს და ერობეს სთხოვეს შენი განადგურება.

— ვერ გავიგე, — დავიბენი.

— გაუ, ხიმე და ერობე — მათი ღმერთებია. დკამ შენი განადგურება შესთხოვა და გუშინ საღამოს ასკემ რიტუალი-შელოცვა ჩაატარა. გალი ამბობს, თუ აქედან ორ დღეში არ წავიდაო, ღმერთების რისხვა დაატყდება თავსო. ძალიან ნერვიულობს, არაფერი მოუვიდესო.

მე გამეღიმა და გალის ვუთხარი, რომ ნუ ეშინია ნურაფრის.

გალიმ ხელი ხელზე მტაცა და კოცნა დამიწყო, ძველდებოდა, წავსულიყავი აქედან.

— გეჯავრები? — შევეკითხე ლუიჯის დახმარებით.

— არა, — მიპასუხა გალიმ.

— აბა, რატომ მაგდებ აქედან?

— არ მაგდებ! მე მინდა, რომ შენ ცოცხალი გადარჩე!..

მე კვლავ გამეღიმა.

— ნუ ეშინია, არაფერი მომივა.

გალი ფეხებზე შემომხეხია.

— კარგი, — ვუთხარი მკაცრი ტონით, — მე არაფერი მომივა.

გალი ცივად ადგა და გამშორდა.

* * *

თავიდან თითქოს გალის ნათქვამი არაფრად ჩავადე, მაგრამ დასაძინებლად რომ დავწექი, ფიქრებმა წამილო. გამახსენდა დკას სიძულვილით საუსე მხერა, გველი, რომელიც ლამის თავზე დამეცა.

ცოტა არ იყოს, შიში შემეპარა გულში. ვერა და ვერ დავიბინე. უცებ ქოხთან რაღაც ხმაური მომესმა. მე წამოვხტი, ხალათი მოვისხი, ფარანი ავიღე და გარეთ გამოვედი. ქოხის გვერდით რაღაც ჩრდილი შევნიშნე. ფარანი იქით მივანათე. გალი შემრჩა

ხელში.

- რა გინდა? — შევეკითხე.
- აქ ვიქნები.
- რატომ?
- მე დაგიცავ შენ.

ჩამეცინა, ქოხში დავბრუნდი. ტატიანა არ იყო აქ. მორიგეობდა ამბულატორიაში.

დავწევი, მაგრამ ჩემს თვალებს რული არ ეკარებოდა. სიმართლე გითხრათ, გალისაც მეშინოდა უკვე. რას გაიგებ, ბუშმენს რა უდევს გულში.

ხალათი ჩავიცვი და ლუიჯის ქოხისკენ გავწვი ფარნით ხელში.

ლუიჯის ჩემს დაძახებაზე უცებ გაედვიდა, შემფოთებული შემეკითხა:

- რამე ხომ არ მოხდა?
- ვერ ვიძინებ, მეშინია, — ვუთხარი და გალის უცნაური საქციელის შესახებ მოუყევი.

— ეტყობა, მართლაც რაღაც ხდება. ჰანსის საწოლზე დაწევი და დაიძინე. მორიგეობაზეა. მე გიყარა უღებ. ისედაც არ მეძინება.

მე ძალიან გავბრაზდი საკუთარ თავზე, რომ ლუიჯი ასე შევწეხე. ისედაც, ამდენი ავადმყოფების გამო, გამოუძინებლები ვიყავით და ახლა ჩემი მიზეზით კიდევ უძილო უნდა დარჩენილიყო.

მე პროტესტით შევხვდი მის წინადადებას. ის იყო ლუიჯი ჩემს დარწმუნებას მოჰყვა, რომ სრულიად არ ეძინება, რომ თუთიყუშმა თუ რაღაც ფრინველმა წიოკი ასტეხა.

ლანსმა ფარანი აიღო და ქოხიდან გამოვიდა. მეც გამოვეყვი.

— ისევ შენ ხარ? — გაბრაზებული შევეკითხა ლუიჯი ხესთან მიკუნჭულ გალის.

— მე უნდა დავიცვა მანანა, — ჯიუტად იმეორებდა ახალგაზრდა ბუშმენი.

ბუშმენებმა ადვილად ისწავლეს ჩემი სახელი. გზაზე ბავშვები მომდევდნენ ხოლმე ძახილით, — „მანანა, მანანა!“

— კარგი, რახან ასე გინდა, იყავი და გვიყარა უღე, — უთხრა ბოლოს ლუიჯიმ, ხელი მომკიდა და ქოხში შემეყვანა.

სიბნელეში კარგად დავინახე, როგორ დააკვესა გალის თვალებმა იმ დროს, როდესაც ლუიჯიმ ხელი მომკიდა. ახლა კი მართლა შემეშინდა. ირგვლივ ყველაფერი გაურკვეველობის ბურუსმა მოიცვა. ვერ ვხვდებოდი, ვის უნდა მოერიდებოდი, ვისგან მომელოდა საშიშროება... იქნებ თვით გალისგან. გამახსენდა მისი თვალები და გამაჟრიალა.

მე და ლუიჯიმ ის ღამე გავათუნეთ. დილაუთენია გარეთ რომ გამოვედით, გალი ისევ იმ ხესთან დაგვხვდა მიეყდებული.

- ლუიჯიმ ხმა არ გასცა, მე მომიტრიალდა:
- ამბულატორიაში წავიდეთ.
- იქ მისვლისთანავე მაიკლი მონახა და

დაწვრილებით მოუყვა ყველაფერი. მაიკლი ძალიან შეფიქრიანდა.

— აქ ხალხიც ისეთივე გამოუცნობია და საშიში, როგორც აქაური ფაუნა და ფლორა. ხვდებით, ალბათ, რომ მე იმ რელიგიური რიტუალების შესრულებამ კი არ ჩამაფიქრა, არამედ იმ ფაქტმა, რომ მათი სიძულვილის ობიექტია მხოლოდ მანანა. ეს არაა მიმართული კონკრეტულად თეთრი აჩრდილების, როგორც ისინი გვიწოდებენ, წინააღმდეგ. ესე იგი, აქ სხვა რამეშია საქმე. ლაკამ რა გითხრათ? — კიდევ გაამეორებინა ბუშმენი სანიტარის სიტყვები.

— საინტერესოა, რა შუაშია აქ დკა... არა, ისევ ლაკას უნდა გამოვკითხოთ.

ლუიჯი ლაკას დასაძახებლად გავიდა. მაიკლი მომიტრიალდა.

— რაღაც უსიამო ამბავში გაქვხე... საინტერესოა, ლაკა რა გვეტყვის.

ლუიჯი დაბრუნდა სანიტართან ერთად.

მაიკლი მიუტრიალდა ლაკას.

— მითხარი, რატომ ემტერებიან მანანას?

ლუიჯიმ გადაუთარგმნა.

— დკა, დკა!!!! — წამოიყვირა ლაკამ.

— რა დკა, გაგვაგებინე კარგად, — მაიკლი მოუთმენლობამ შეიპყრო.

ლაკამ ლუიჯის შეხედა, როდესაც მოისმინა მაიკლის კითხვა, ცოტა ხანს ჩაფიქრდა, მერე მომიახლოვდა, სახეზე ხელი ჩამომისვა. მე ჩემდაუნებურად უკან დავიხიე.

— დკას უნდა გალის სახე იყოს. გალი კი მას არც უყურებს...

ჩემსკენ თითი გამოიშვირა და თქვა:

— გალის უნდა შენ იყო მისი სახე.

ლუიჯის ჩაეცინა. ლაკა გაუშვა და მაიკლს უთხრა:

— შეჰყვარებია გალის ქალბატონი მანანა. დკა კი გალის ვერ სთმობს... ასე რომ, ქალბატონო მანანა, თქვენ უნებლიედ შეყვარებული წართვით დკას.

მაიკლი ჩაფიქრდა. მერე მომიბრუნდა:

— თქვენ აქაურობის დატოვება მოგიწევთ. ეს ხალხი არ გაპატიებთ, რომ ბუშმენს შეუყვარდით. მათ თვალში თქვენ ჯადოქარი ხართ, რომელმაც ახალგაზრდა ვაჟს თავგზა აუბნია.

— ჩემი ბრალია, რომ შეუყვარდი?

— რა თქმა უნდა არა, მაგრამ თქვენივე უსაფრთხოების მიზნით ვალდებულნი ვართ, ავაცილოთ საფრთხე. უნდა დაბრუნდეთ თქვენს ქვეყანაში. თქვენი სილამაზის პატრონი, ალბათ უნდა მოგარიდოთ ასეთ ექსპედიციებს.

ამ დროს ლუიჯის დაუძახეს.

— ხვალ ვერტმფრენს ველოდებით. მათ გაგაყოლებთ. მოუშადეთ, ბარგი ჩაალაგეთ.

მერე მაიკლმა ჩემი მჯავა ხელში მოიმწყვდია და მითხრა:

— თქვენ წახვალთ, მაგრამ მე როგორ გავძლებ თქვენს გარეშე, არ ვიცი.

ამ სიტყვებზე გაოცებისაგან თვალები გამიფართოვდა.

— მე, გალის შემდეგ, თქვენი მეორე თაყვანისმცემელი ვარ.

ვიდექი გაშეშებული და არ ვიცოდი, ხუმრობაში ჩამეთვალა თუ არა მაიკლის ნათქვამი.

მხოლოდ გაფრენის წინ, მაიკლის დანაპირებმა,

რომ ექსპედიციის ჩამოსვლის შემდეგ, საქართველოში ჩამოვიდოდა ჩემს სანახავად, დამარწმუნა, რომ იგი არა ხუმრობდა.

ვერტმფრენი მაღლა აიჭრა. მე შემოდან ვუყურებდი ჩვენი ექსპედიციის წევრებს, რომლებიც ხელს მიქნევდნენ, პატარა ქოხებს, გადაჭიმულ ქვიშის უდაბნოს... და უცებ დავინახე გალი, რომელიც მორბოდა, გვერდებზე ვერტმფრენის დაწვეას ცდილობსო და ხელებს იქნევდა... ბოლოს დაეცა და ცხელ ქვიშას ხელები უმოწყალოდ დაუშინა..

შ მ ე ზ ი ა

ცისნა ყვონაძე-მიქაძე

ადგილის დედა!

ლომი უუკლანჭო ვიტირე და
ზეპირ ვიცინოდი, მწარე.

ზეცა ახანსარე, ლანარ!

ზეცა ახანსარე, ლანარ!

ლომი უუკლანჭო ვიტირე და
ფაფარ დაუუკოცნე სხვაგვარ.

იყო ზირველინიჭი ნიჭისანი —

ბეჭთა ვიდევ ცეცხლის ჭვარი,

ბალანს ხავსისასა შევერკინე,

შევაეენე ცეცხლის დვარი.

ცეცხლად დავენთე გველსოკერთა,

ლიბო ამოვჭკერე ცხრაგან —

ზეცა ახანსარე, ლანარ!

მზისთვალ აქეთაკე დასძარ!

გზა მიმს ძველთა გზაზე სავალი და
პელაზგ — ეტრუსკისა ნატერფალი:

ლაგამს უწრავდნენო ურანიო,

ქორი ქრიალედან საქორესა,

ქორო დამესსენ და განქარდიო,

სახლთ მოძიკარვე კარავიო.

ლომი უუკლანჭო ვიტირე და

ფაფარ დაუუკოცნე სხვაგვარ.

ზეცა ახანსარე, ლანარ,

ნულა ვიცინოდე, მწარე,

წვალი ცოცხალი და ქმნადი,

ლანარ აქეთაკე დასძარ!

2008

Friedrich Hölderlin - თარგმანი ცისნა ყვონაძე-მიქაძის

Sokrates und Alcibiades

“რად იხიბლევდი, ბრძენო სოკრატე,
ამ უმაწვილით ისევ და ისევ, სხვას უფრო დიადს არ იცნობ განა?

დიდ სიუვარულით, როგორც ღმერთებს

რად შეჭურვებს მას შენი თვალი?”

უევარს სიცოცხლე აღმატებულად, უღრმადვება
ფიქრით და აზრით ამაღლებული სიუმაწვილე ქვეყნიერებას,

ზეცას მისწვდება, ჭვრეტს რა სამეაროს, სშირად ბოლოში

მუხლს უერიან ბრძენი კაცვეი უხენაეს მშვენიერებას.

Sokrates und Alcibiades

„Warum huldigst du, heiliger Sokrates,
Diesem Jünglinge stets? kennest du Größers nicht?

Warum sieht mit Liebe,

Wie auf Götter, dein Aug auf ihn?“

Wer das Tiefste gedacht, liebt das Lebendigste,
Hole Jugend versteht, wer in die Welt geblickt,

Und es neigen die Weisen

Often am Ende zu Schönerm sich.

სამშობლოში დაბრუნება

ჰაერკეთილნო, თქვენ, მაცნენო იტალიისა!
დიდო მდინარევე, შენ ალვეებით მონაპირება!
სმაურინანო მთაგრეხილებო, თქვენ, თქვენ ვუვლანო,
მხიან მწვერვალნო, ეს კვლავ თქვენა ხართ?

მშვიდო საუანე! შორით ოცნებებს რომ მინათებდი
იმედდაშრეტილ, კაემნიან დღელამებში,
ბავშვობის სახლო, და თქვენც, ჩემთან მოთამაშენო,
ჰეი, ხეებო სერ-ბეკობთა, ძველო ნაცნობნო!

ო, რა ხანგრძლივად გამიგრძელდა სიურმის სიმშვიდე,
სიუმაწვილე, ტრფობა, სილაღე!
შენ კი, მამულო! შენ წმინდანის დიდო გამკლება!
რაც იუაუ, ხარ და დარჩი იმადღე.

ჭირთა მოთმენა ცასა გწვედა სინარულებით,
ცათა განძეულს იმრავლებდი ვარამის წინდად,
უხმობდი შენებს სიხმარ-ცხადში, როცა ორგულნიც
სეტიალობდნენ უცხო შორეთში გხანარეულნი.

როცა ქაღწეულნი და უმაწვილკაცნი
ელვარ გულებში ძლიერ სურვილს ასათუებენ,
ბედისწერის, იღბლის ბოგინს ალუდებინ,
მაშინ კი ცისკრის შენ მოვკმდუნება ზარების ბორკვა.

სიურმის დღეებო, გეთხოვებით ბილიკებო, ვარდნარინანო,
მონეტიალის ვეულა გხანწრილი, გნახე მშვიდობით,
სამშობლოვ, იძღვენ ჩემი სიცოცხლე, თანვე
მაკურთხე, მამულის ზეცავ, ისევ და ისევ!

სიცოცხლის ნახევარი

ანარკება ხმელეთი ტბაში
ქარვიან მსხლებით,
ველურ ვარდებით,
თეთრო ვედებო,
სპეტო უვავილნო,
ამბორებით დათენთილებო,
თავებს ჩაჰკიდებთ
წუაროწმინდა სისპეტაკეში.
აჰ! კაემანი შემომადგა –
ზამთრის ღამეში
სად და რავარად
ვზოვო უვავილი
ან მზის შუქ-ჩრდილი?!
დგანან კედლები,
ქვაღქცეულნი,
აქ, ამ ქარცივში
ქარნაცემი თრთიან ალმები.

Rückkehr in die Heimat

Ihr milden Lüfte! Boten Italiens!
Und du mit deinen Pappeln, geliebter Strom!
Ihr wogenden Gebirg! o all ihr
Sonnigen Gipfel, so seid ihr`s wieder?

Du stiller Ort! in Träumen erschienst du fern
Nach hoffnungslosem Tage dem Sehrenden,
Und du mein Haus, und ihr Gespielen.
Bäume des Hügels, ihr wohlbekanntnen!

Wie lang ist`s, o wie lange! des Kindes Ruh
Ist hin, und hin ist Jugend und Lieb und Lust;
Doch du, mein Vaterland! du heilig-
Duldendes! siehe, du bist geblieben

Und darum, daß sie dulden mit dir, mit dir
Sich freun, erziehst du teures! die Deinen auch
Und mahnst in Träumen, wenn sie ferne
Schweifen und irren, die Ungetreuen.

Und wenn im heißen Busen dem Jünglinge
Du eigenmächt`gen Wünsche besänftiget
Und stille vor dem Schicksal sind, dann
Gibt der Geläuterte die sich lieber.

Lebt wohl dann, Jugendtage, du Rosenpfad
Der Lieb, und all ihr Pfade des Wanderers,
Lebt wohl! Und nimm und segne du mein
Leben, o Himmel der Heimat, wieder!

Hälfte des Lebens

Mit gelben Birnen hängt
Und voll mit wilden Rosen
Das Land in den See,
Ihr holden Schwäne,
Und trunken von Küssen
Tunkt ihr das Haupt
Ins heilignüchterne Wasser.
Weh mir, wo nehm ich, wenn
Es Winter ist, die Blumen, und wo
Den Sonnenschein,
Und Schatten der Erde?
Die Mauern stehn
Sprachlos und kalt, im Winde
Klirren die Fahnen.

იყმობი

- ორი მეგობარი ხვდება ერთმანეთს:
- როგორა ხარ.
- კარგად. მალაზიების ქსელი გავხსენი, ერთი თვეა და უკვე 20 ათასი ვირტუალური დოლარი მოვაგროვე.
- ვირტუალური. ასეთი არც მინახავს.
- არც მე.

- მამი 5 მივიღე გაახარა პატარა მიხომ მამა.
- ყოჩაღ შვილო, რაში?
- 3 არითმეტიკაში და 2 ფრანგულში

მიხო მიდის უცხოეთში საცხოვრებლად. მებაჟე ეკითხება:

- უკაცრავად, რამე ძვირფასეულობა ხომ არა გაქვთ თან?
- შეიძლება 98 კილოგრამი ოქრო თან ნავილო? – შეეკითხა მიხო.
- რა თქმა უნდა არა! – პასუხობს მებაჟე. მიხო მიუბრუნდა და თავის ცოლს ეუბნება:
- მარო, ჩემო ოქრო, ამ კარგმა კაცმა თქვა, რომ შენ აქა რჩებიო!

პაციენტს მიიყვანენ ფსიქიატრიულში. ექიმი ეკითხება:

- შენ ვინა ხარ?
- ნაპოლეონი.
- ააა, შენნაირი იმპერატორები აქ ბევრი გვყავს.
- რა იმპერატორი, რის იმპერატორი, მე ნამცხვარი ნაპოლეონი ვარ.

- შემიძლია, ჩემი მონაცემებით ოპერაში მოვხვდე?
- რა თქმა უნდა, თუ ბილეთს აიღებთ.

მალაზიაში:
 ეს პარაშუტი კარგია?
 რა თქმა უნდა.
 რომ არ გაიშალოს?
 მაშინ მობრძანდით და გამოგიცვლით.

ფრაგმენტი საინფორმაციო გამოშვებიდან:
 “ - ახლა კი - კულტურის ამბები. გუშინ: საკუთარი სახლის წინ, სამი გასროლით მოკლეს სიმფონიური ორკესტრის დირექტორი.”

ქართული სათვისტომოს ორგანო
 გამოიცემა 2005 წლის ოქტომბრიდან

Das Organ des Georgischen Vereins in Deutschland e.V.
 Herausgegeben seit Oktober 2005

დაფუძნებანი-გამომცემანი:
 ბახმანიის ქართული სათვისტომო

სახედაქყო ყოლეგია:
 ნინო ხაბელაშვილი (მთ. რედაქტორი)
 თინათინ ჩითინაშვილი (რედაქტორი)
 ნინო დალაქიშვილი
 ნინო ცხომელიძე-დეპერშიმდტი
 ეკატერინე ცირიკაშვილი

გერმანიის ქართული სათვისტომოს ორგანო

Georgischer Verein in Deutschland e.V.
 c/o Leri Datashvili
 Roemerhofweg 51c
 85748 Garching b. München

დაგვიკავშირდით:
 ტელ.: 0711/12 28 97 26
 ელ. ფოსტა: qartuli@satvistomo.de

ჩვენი ზახუნოიხის ამეჩიყაში გამომავადი ქართული გაზეთი „მამული“